# აჭარა

გამოცემის 103-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№35 (25.059) სამშაბათი, 4 - 5 აპრილი, 2023 წ. 50 თეთრი


### გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით



დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 15-20, შიდამთიან რაიონებში - 12-17, მაღალ მთაში - 5-10 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 12 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 760 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა.

## კრიალოსანი უსი

საქართველო და ქართველი ხალხი დიდ ევროპულ ოჯახში ისტორიული ადგილის დაბრუნებას იმსახურებენ, - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ლიეტუვის პრეზიდენტ გიტანას ნაუსედასთან შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე. ლიეტუვაში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა პრეზიდენტმა მაღალი დონის შეხვედრები გამართა ასევე პრემიერ-მინისტრ ინგრიდა შიმონიტესთან და სეიმის თავმჯდომარე ვიქტორია ჩმილიტე-ნიელსენისთან.

* * *

პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა გია ვოლსკიმ ევროპარლამენტარ ვიოლა ფონ კრამონის საქართველოში ვიზიტი შეაფასა. მისი თქმით, ვიოლა ფონ კრამონმა, პოლიციელზე თავდასხმის და ნივთის დაზიანების ფაქტებზე დაკავებული ლაზარე გრიგორიადისის მხარდასაჭერ აქციაზე მისვლით, დასავლური პოლიტიკის დისკრედიტაცია მოახდინა. როგორც ვოლსკიმ აღნიშნა, საქართველო სერიოზული გამოწვევების და საფრთხის წინაშე დგას, რომლის შექმნაში, არა მხოლოდ ვიოლა ფონ კრამონი, არამედ საქართველოს წინააღმდეგ მიმართული რეზოლუციის მხარდამჭერი სხვა ევროდეპუტატები მონაწილეობენ.

* * *

„ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ 9 აპრილის აქციის საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში, ქუთაისში შემაჯამებელი აქცია გამართა. პარტიის მიზანია, 9 აპრილს საქართველოს ყველა ქალაქიდან, მოქალაქეები თბილისში, რუსთაველის გამზირზე შეიკრიბონ. „ნაციონალური მოძრაობა“ იქნება ყველგან, სადაც საქართველოს ევროპული მომავალია და 12 პუნქტთან დაკავშირებით, ცხადია, ყველგან ვიქნებით წარმოდგენილი“, - განაცხადა პარტიის თავმჯდომარე ლევან ხაბეიშვილმა.

* * *

კეზერაშვილისადმი ჩემი რჩევა იქნებოდა, საერთოდ წასულიყო პოლიტიკიდან, - განაცხადა „გირჩის“ დეპუტატმა იაგო ხვიჩიამ. როგორც მან აღნიშნა, დავით კეზერაშვილი უფრო „ქართულ ოცნებას“ ეხმარება, ვიდრე ოპოზიციას - მთელი ოპოზიციური პროცესის დისკრედიტაცია მოხდა იმის გამო, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ სათავეში კეზერაშვილ-მერაბიშვილი აღმოჩნდნენ.

* * *

სახალხო დამცველმა ლევან იოსელიანმა ახალი მოადგილეები წარადგინა. „გიორგი ბურჯანაძემ და ეკა სხილაძემ დატოვეს სახალხო დამცველის მოადგილის თანამდებობები. მინდა წარმოგიდგინოთ ჩემი მოადგილეები ელენე ღუდუშაური და ნათია ჯულაყიძე, ორივე მათგანი ჩემთან ერთად გააგრძელებს მუშაობას,“ - განაცხადა იოსელიანმა. თანამდებობაზე რჩება სახალხო დამცველის პირველი მოადგილე თამარ გვარამაძე.

**მოამზადა**
**ია შველიძემ**

# სამუშაო შეხვედრა – საზღვაო ტურისტული სეზონისთვის მოსამზადებლად

***აჭარის საზღვაო ტურისტული სეზონის მოსამზადებელი სამუშაოების კოორდინირებულად და ეფექტიანად განხორციელებისთვის აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ უწყებათაშორისი სამუშაო შეხვედრა გამართა***

- 2023 წლის საზღვაო სეზონის წარმატებით ჩატარებისთვის მნიშვნელოვანია ყველა უწყების სრული კოორდინაცია, - აღნიშნა თორნიკე რიჟვაძემ, - უწყებებს დაევალათ საორგანიზაციო სამუშაოების დაწყება მუნიციპალური სერვისების მიწოდების გაუმჯობესების, უსაფრთხოების უზრუნველყოფის, სატრანსპორტო ნაკადების და ნარჩენების მართვისთვის.

აჭარა, ბათუმი 2023 წელს საერთაშორისო სპორტული, ტურისტული და კულტურული ღონისძიებების ცენტრი იქნება. ტურიზმის აღდგენის დინამიკა აჭარაში მზარდია, 2022 წელს რეგიონში 3,9 მლნ ვიზიტი განხორციელდა. შესაბამისად, 2023 წლის საზღვაო სეზონთან დაკავშირებითაც მოლოდინები პოზიტიურია.



ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და სერვისების შექმნის პარალელურად, მიმდინარეობს რეგიონის პოპულარიზაციაზე მუშაობა. აჭარა წარმოდგენილია ყველა მნიშვნელოვან და პრესტიჟულ ტურისტულ პლატფორმაზე, მათ შორის ისეთ მნიშვნელოვან გამოფენებზე, როგორიცაა ბერლინის, მადრიდის, მილანისა და ისრაელის ტურისტული გამოფენები.

**აჭარის მთავრობის პრესსამსახური**

# აჭარის მთავრობა სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დასახმარებლად და ინფრასტრუქტურის აღსადგენად 10 მილიონ ლარს გამოყოფს

***აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ მუნიციპალიტეტის მერებთან სამუშაო შეხვედრა გამართა და მეწყრული პროცესების შედეგად მიყენებული ზიანის, მოსახლეობის უსაფრთხო საცხოვრისით უზრუნველყოფის და ინფრასტრუქტურის აღდგენითი სამუშაოების შესახებ ინფორმაცია მოისმინა***

თორნიკე რიჟვაძის გადაწყვეტილებით, აჭარის მთავრობა 10 მილიონ ლარს გამოყოფს მეწყრის და სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დასახმარებლად და ინფრასტრუქტურის აღსადგენად ექვსივე მუნიციპალიტეტში. დაზარალებულ მოქალაქეებს შესაძლებლობა ექნებათ, ჩაერთონ ეკომიგრანტთა საცხოვრისით უზრუნველყოფის პროგრამაში.

მუნიციპალიტეტის მერებმა წარადგინეს დეტალური მონაცემები დაზარალებული ოჯახების და ინფრასტრუქტურის შესახებ. აღინიშნა, რომ აქტიურად მიმდინარეობს სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარება და გზების აღდგენა.





მთავრობის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია როგორც მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა, ასევე ცენტრალურმა უწყებებმა, ჯანდაცვის სამინისტრომ მოახდინონ რეაგირება, რათა არცერთი მოქალაქე არ დარჩეს ყურადღების გარეშე.

აღნიშნულ სამუშაო თათბირს აჭარის ჯანდაცვის და ფინანსთა მინისტრები, საავტომობილო გზების დეპარტამენტის უფროსი, აჭარის მთავრობის ადმინისტრაციის და აპარატის ხელმძღვანელები ესწრებოდნენ.

**აჭარის მთავრობის პრესსამსახური**


ISSN 2720-8702

9 772720 870003



## გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

# ბათუმის კონცხის წყალქვეშა ფერდობს შეისწავლიან

**ნაილე ხერთვისელი 27 48 93**



***ბათუმის კონცხთან პლაჟის მოწყვეტის და ზღვაში ჩაზვავების რისკის შესამცირებლად სპეციალისტები შესაბამის კვლევას ჩაატარებენ***

კვლევის შედეგად თუ აღმოჩნდა, რომ კონცხის წყალქვეშა ფერდზე ჭარბი რაოდენობით ნატანია დაგროვილი, შემუშავდება პროექტი, რომლის მიხედვითაც ჭარბ ნატანს ამოიღებენ და ავარიულ სანაპირო უბნებზე გადაიტანენ. ავარიული უბნები ბათუმის სანაპიროზე, დღევანდელი მდგომარეობით, ახალი ბულვარის გასწვრივაა, სადაც ზღვა ნაპირს რეცხავს. ზოგიერთ ადგილზე ზღვის ხელოვნური კვების მიზნით უკვე შეაქვთ ხრეში, რომელსაც ჭოროხის კალაპოტიდან იღებენ. „ბათუმის კონცხის წყალქვეშა ფერდობის შესწავლის, ჭარბი აკუმულაციის უბნების გამოვლენისა და მოსალოდნელი რისკების შემცირების მიზნით, სათანადო კვლევის ჩატარებისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებაზე“ აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველომ ხელშეკრულება იმ კომპანიასთან გააფორმა, რომლის პროექტითაც ზღვას ხელოვნურად კვებავენ. სამმართველომ, ტენდერის გარეშე, ხელშეკრულება შპს „ქოსთ დიზაინთან“ 2023 წლის 24 მარტს გააფორმა 41 700 ლარზე.

# გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი მოსახლეობას მოუწოდებს

**ნაილე ხერთვისელი 27 48 93**



***გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, ბზობის დღესასწაულის მოახლოებასთან დაკავშირებით, ბზის უკანონო მოპოვებაზე კონტროლს ამკაცრებს. უწყების ცნობით, დეპარტამენტის ეკიპაჟები, ქვეყნის მასშტაბით, 24-საათიანი პატრულირების დროს, განსაკუთრებით გააკონტროლებენ იმ ტერიტორიებს, სადაც ბოლო წლებში ბზის უკანონო მოპოვება-რეალიზაციის სტატისტიკა მაღალია***

მათივე განმარტებით, კოლხური ბზა წითელი ნუსხით დაცული სახეობაა. მისი მოჭრა, ამოძირკვა ან ტოტების დაზიანება კანონით ისჯება. აღნიშნული სამართალდარღვევა 500-დან 1 000 ლარამდე ჯარიმას ითვალისწინებს. იმ შემთხვევაში, თუ ბზის უკანონო მოპოვებით გარემოსთვის მიყენებული ზიანი 1 000 ლარს აჭარბებს, საქმეს სისხლის სამართლის კვალიფიკაცია ენიჭება. „ბზის მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ კერძო საკუთრებაში არსებული სანერგეებიდან და ხელოვნურად გაშენებული პლანტაციებიდან, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ გაცემული შესაბამისი ადგილწარმოშობის ცნობის საფუძველზე. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი მოსახლეობას მოუწოდებს, არ დაარღვიონ კანონი, სამართალდარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში კი დარეკონ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელ ხაზზე - 153 (ზარი უფასოა, ანონიმურობა დაცული), რათა დეპარტამენტის თანამშრომლებმა თითოეულ ფაქტზე შესაბამისი რეაგირება მოახდინონ“, - განმარტავენ დეპარტამენტში.

# მოხალისეთა კლუბი შეიქმნა

**ცოტნე ცაბაძე 27 48 93**



***შუახევში მოხალისეთა ახალგაზრდული კლუბი შეიქმნა, რომლის მიზანი მოხალისეობის კულტურის განვითარება და ხელშეწყობაა. კლუბი 14-29 წლის ახალგაზრდებს აერთიანებს***

ახლახან მოხალისეთა კლუბის წარდგინება გაიმართა, რომელსაც შუახევის მერი ომარ ტაკიძე, მოადგილე რუსუდან შავაძე და მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მიმოიხილეს კლუბის არსი და მნიშვნელობა, ახალგაზრდობის როლი საზოგადოების განვითარებაში. მონაწილეებს კლუბის მიზანი და დებულება გააცნო შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის ტურიზმისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ამირან ხიმშიაშვილმა. კლუბის ლიდერებად მილენა მიქელაძე, ლუკა ზოიძე, ლუკა დავითაძე და ქეთი ფუტკარაძე აირჩიეს.

- კლუბის ძირითადი ამოცანაა მოხალისეობის ინსტიტუტის შესახებ ახალგაზრდების ინფორმირებულობა, მათი ჩართვა მოხალისეობრივ საქმიანობაში, საქველმოქმედო ღონისძიებების მოწყობა, ადგილობრივ და საერთაშორისო მოხალისეობრივ ორგანიზაციებთან ურთიერთთანამშრომლობა, - გვითხრა ამირან ხიმშიაშვილმა.

# სამუშაოებს სისტემატურად აკვირდებიან

**ცოტნე ცაბაძე 27 48 93**



***დაბა ქედაში სამრეწველო გზის სამშენებლო სამუშაოები დაიწყო. ამ ეტაპზე, ტერიტორიის მოსწორება-მოშანდაკება მიმდინარეობს, 487 მეტრზე მოეწყო რკინა-ბეტონის კიუვეტი ცხაურით, სანიაღვრე არხები და ჭები***

მოსამზადებელი სამუშაოების დასრულების შემდეგ სამრეწველო გზის 508-მეტრიან მონაკვეთზე დაიგება არმირებული ბეტონის საფარი.

სამუშაოებს შპს „გალმშენი“ აწარმოებს, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება 360 ათასი ლარია. ქედის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა მიმდინარე სამუშაოებს სისტემატურად აკვირდება. ამჯერად, მერი როლანდ ბერიძე და მისი პირველი მოადგილე იმედა ვასაძე დაინტერესდნენ და არსებულ ვითარებას გაეცნენ.

**ამბები**

# შაბათ–კვირის ქრონიკა

სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დასახმარებლად და ინფრასტრუქტურის აღსადგენად აჭარის ბიუჯეტიდან 10 მილიონი ლარი გამოიყოფა. ინფორმაციას ამის შესახებ აჭარის მთავრობა ავრცელებს. ეს თანხა აჭარის ექვსივე მუნიციპალიტეტზე გადანაწილდება. „აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ მუნიციპალიტეტის მერებთან სამუშაო შეხვედრა გამართა და მეწყრული პროცესების შედეგად მიყენებული ზიანის, მოსახლეობის უსაფრთხო საცხოვრისით უზრუნველყოფის და ინფრასტრუქტურის აღდგენითი სამუშაოების შესახებ ინფორმაცია მოისმინა. დაზარალებულ მოქალაქეებს შესაძლებლობა ექნებათ, ჩაერთონ ეკომიგრანტთა საცხოვრისით უზრუნველყოფის პროგრამაში“, - აცხადებს აჭარის მთავრობა. მათივე ცნობით, ყურადღების გარეშე სტიქიით დაზარალებული არცერთი მოქალაქე არ დარჩება. 28 მარტს ბათუმში ძლიერმა ქარმა არაერთ ოჯახს მიაყენა ზიანი - სახლებს სახურავები ახადა, თუმცა ზარალი ამ დრომდე დათვლილი არ არის. რაც შეეხება აჭარის სხვა მუნიციპალიტეტებს - გაზაფხულის დადგომისთანავე აჭარაში მეწყრული კერები გააქტიურდა. ბოლო მონაცემებით, საშიში ზონებიდან 200-მდე ოჯახია გაყვანილი.

* * *

საარჩევნო საკითხებზე ბათუმში მოსამართლეთა სამუშაო შეხვედრა გაიმართა. განიხილეს საარჩევნო ელექტრონულ ტექნოლოგიებთან, საკანონმდებლო სიახლეებთან, საარჩევნო უბნების საზღვრებთან და საარჩევნო დავებთან დაკავშირებული საკითხები. საარჩევნო ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვისა და საარჩევნო უბნების საზღვრებთან დაკავშირებული სიახლეების შესახებ დეტალურად ისაუბრა ცესკოს თავმჯდომარემ.

* * *

„ბათუმი ავარიული სახლების გარეშე“ პროგრამის ფარგლებში 10 მისამართზე 1000-მდე ბინის მშენებლობა დაიწყო. არსებული ავარიული შენობები თანამედროვე ტიპის საცხოვრებელი კომპლექსებით ჩანაცვლდება. მოსახლეობას ბინები გადაეცემა სრულად გარემონტებულ მდგომარეობაში. პროგრამას აჭარის მთავრობა და ბათუმის მერია ახორციელებს. მრავალბინიანი სახლების მშენებლობა მიმდინარეობს კვინიტაძის №1, №3, №11-ში. გრიშაშვილის №9-ში, ასევე, ხინიკაძის №7-ში. მოსამზადებელი სამუშაოები დაიწყო ე.წ შანხაის დასახლებაში, 26 მაისის, ხიმშიაშვილისა და კახაბრის ქუჩებზე. ასევე, ავარიული კორპუსების გამაგრებითი სამუშაოები დასრულდა 6 მისამართზე. პროგრამა ითვალისწინებს 300-მდე მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის ახალი, თანამედროვე საცხოვრისით ჩანაცვლებას და 3000-ზე მეტი ოჯახისთვის უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნას. ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამა ბათუმში გასულ წელს ამოქმედდა, რომლისთვისაც, ოთხი წლის განმავლობაში 100 მილიონი ლარი იქნება გათვალისწინებული. პროგრამის ფარგლებში, ეტაპობრივად, საჭიროების მქონე ყველა პირი უზრუნველყოფილი იქნება ახალი უსაფრთხო საცხოვრისით. საბიუჯეტო პროგრამის პარალელურად განხორციელდება ავარიული და საცხოვრებლად გამოუსადეგარი სახლებისგან გამოთავისუფლებული მიწის ნაკვეთების კერძო სექტორისთვის შეთავაზება. ავარიული სახლების ადგილზე ახალი, მრავალბინიანი სახლების მშენებლობას აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ბათუმის მერთან ერთად გაეცნო.

**მოამზადა**
**ნაირა ფუტკარაძემ**

ოპოზიცია

# „პოლიტიკოსები მუდმივად მზად უნდა ვიყოთ ნებისმიერი გამოწვევისთვის“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

*საქართველო მრავალი გამოწვევისა და პრობლემების წინაშეა - პოლარიზებული პოლიტიკური გარემო, არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობა, ურთიერთდაპირისპირება მმართველ პარტიასა და ოპოზიციას შორის და რუსეთის აგრესიული ქმედებები პოსტსაბჭოთა სივრცეში. რუსეთ-უკრაინის ომმა მთელი ცივილიზებული სამყარო მესამე მსოფლიო ომის წინაშე დააყენა*

*რაკი ჩვენი ქვეყანა ზესახელმწიფოთა ინტერესების სფეროშია, დასავლეთი საქართველოს გამთლიანებისა და კეთილდღეობისთვის იღვწის, ევროპელი ლიდერების მიერ კანდიდატის სტატუსის სავარაუდო მინიჭებაზე გაკეთებული განცხადებები სწორედ ამას ცხადყოფს. თავის მხრივ, რუსეთი ყველანაირად ცდილობს ჩვენი ევროპული კურსის შეფერხებას. ყველაფერი მაინც ჩვენზეა დამოკიდებული, თუ საბედისწერო შეცდომებს არ დავუშვებთ და, ასევე, არ გავამძაფრებთ პოლარიზებულ პოლიტიკურ გარემოს, მაშინ, ფიგურალურად რომ ვთქვათ, „კარი სამოთხისანი“ გაიხსნება, ანუ უფრო მეტად დავუახლოვდებით ევროატლანტიკურ სტრუქტურებს. ჯერჯერობით, ოპოზიციასა და მმართველ პარტიას შორის მძაფრი ურთიერთდაპირისპირებაა. ჩნდება კითხვები, რომლებითაც ამჯერად „სტრატეგია აღმაშენებლის“ აჭარის ორგანიზაციის ხელმძღვანელ* ***ბექა დიასამიძეს*** *მივმართეთ.*



**- ვიდრე ბოლოდროინდელ მოვლენებზე ვისაუბრებდეთ, საინტერესოა, როგორ შეაფასებთ ქვეყანაში არსებულ ვითარებას?**

- „ქართულმა ოცნებამ“ სრულად, უკანონოდ მიითვისა ძალაუფლებაც და ქვეყანაც. აღარ გვეკითხება, ხალხს რა გვსურს და რა - არა. საქართველო გახადეს რუსეთის უკანა ეზო. 7-9 მარტის აქციები რეაქცია იყო მიმდინარე პროცესებზე. რიგითმა მოქალაქეებმა ვაჩვენეთ ხელისუფლებას, რომ ქვეყანაში დამკვეთი ხალხია, ხოლო ჩვენი ნების შემსრულებლები ისინი არიან და არა პირიქით. საქართველოს მოსახლეობამ მორიგ ჯერზე შინ და გარეთაც, ყველას დაუმტკიცა, რომ თავისუფლების მოყვარული ხალხი ვართ, ვიმსახურებთ ამ თავისუფლებას და რომ ჩვენი არჩევანი ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანებაა, რომელსაც ასევე, ვიმსახურებთ.

**- ოპოზიცია რომ უკმაყოფილოა ხელისუფლების საქმიანობით, არახალია, თუმცა მმართველი პარტია აცხადებს, რომ ქვეყანა თანმიმდევრულად ვითარდება. ოპოზიციის შენიშვნები რამდენად არგუმენტირებულია?**

- ოპოზიციის უკმაყოფილება იმაში გამოიხატება, რომ შანსი, რომელიც დღეს ქვეყანას გაუჩნდა, საუკუნეში ერთხელ გვეძლევა და სწორედ ამ ისტორიულ მომენტში ქვეყნის სათავეში რუსული ხელისუფლება გვყავს, რომელსაც არ სურს საქართველო ევროინტეგრაციის კუთხით წაიყვანოს. ასრულებს რუსეთის მოღალატეობრივ დავალებებს და საშვილიშვილოდ უკარგავს საკუთარ მოქალაქეებს განვითარების პერსპექტივას. ბუნებრივია, ასეთ მდგომარეობაში „უკმაყოფილება“ კიდევ რბილად არის ნათქვამი იმასთან შედარებით, რასაც ხალხი ოპოზიციასთან ერთად განვიცდით.

**- მმართველი პარტია იმასაც აცხადებს, რომ ოპოზიციის ნაწილი ქვეყანაში დესტაბილიზაციას გეგმავს. ამაზე თუნდაც თქვენს კოალიციას რა პასუხი აქვს, თქვენს პოზიციას თუ აცნობთ ევროპელ პარტნიორებს ამ მიმართებით?**

- რაც ჩვენი მოსახლეობის 80 პროცენტს სურს, იმას ეწინააღმდეგება „ქართული ოცნება“ და თქვენ თავად შეაფასეთ, ვინ ვის უწყობს დესტაბილიზაციას. კონსტიტუციაში გაწერილ პრინციპებს თუ არ ასრულებს ხელისუფლება და ცდილობს, ხალხის ხელით გადაცემული ძალაუფლება მიიტაცოს, მოქალაქეებს აქვთ კონსტიტუციური უფლება, ქუჩაში გამოვიდნენ და საკუთარი ნება აღასრულონ. ამ პროცესს თუ ნეგატიურ შეფასებას აძლევს დღეს მმართველი ძალა, ეს მათი პრობლემაა და თან დროებითი მოვლენა, ისევე, როგორც მათი ქვეყნის სათავეში ყოფნა, რადგან ისტორია ახლო მომავალში ყველაფერს თავის სამართლიან სახელს დაარქმევს და ყველაფერს საკუთარ ადგილს მიუჩენს. ჩვენს ევროპელ მეგობრებს ამის თაობაზე, ბუნებრივია, ვესაუბრებით. აქციებით მათთვისაც თვალნათელი გახდა, სად ხედავენ საქართველოს მოქალაქეები საკუთარ მომავალს - რუსეთში თუ ევროკავშირში.

**- როგორც ცნობილია, ოპოზიციის ნაწილმა („ნაცმოძრაობა“, „ლეიბორისტები“...) რიგგარეშე არჩევნების საკითხი დააყენა და 9 აპრილის აქციაც დააანონსა. ამ მხრივ ოპოზიცია რამდენად შეთანხმებულია? და აქვე თანმდევი კითხვა: თქვენი პარტია თუ მიიღებს ამ აქციაში მონაწილეობას და რა საკითხები იქნება წამოჭრილი ამ მიმართებით?**

- მიმაჩნია, რომ ისტორიული პროცესები დროს მოაქვს. მომენტუმისთვის საჭიროა შეიქმნას მისთვის კეთილგანწყობილი გარემო. ჩვენ, პოლიტიკოსები, მუდმივად მზად უნდა ვიყოთ ნებისმიერი გამოწვევებისთვის, მათ შორის, ვადამდელი არჩევნებისთვის. მეტიც, ყველაფერი, რაც ჩვენზეა დამოკიდებული, უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ მივიღოთ ხალხის სასურველი შედეგი. „სტრატეგია აღმაშენებელი“ ყოველთვის იდგა და იდგება იქ, სადაც საქართველოს ევროპული მომავალია და ამისთვის ვიბრძოლებთ პარლამენტშიც და ქუჩაშიც - აქციებზე.

**- ექსპერტები აცხადებენ, რომ ოპოზიცია ფრაგმენტირებულია, რასაც ემატება „ნაცმოძრაობაში“ შექმნილი არაჯანსაღი ვითარება, საუბრობენ ასევე პარტიაზე მერაბიშვილის ფარულ გავლენაზე. გარდა ამისა, პარტია დატოვა ხატია დეკანოიძემ...**

- ნებისმიერი პოლიტიკური პარტია ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც მუდმივ ცვლილებას განიცდის, აქვს წარმატებები და წარუმატებლობა. პარტიაში გაერთიანებულ პირებს უფლება აქვთ, დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილება, პოლიტიკურ პროცესში საკუთარი თავი დაინახონ. რაც შეეხება ფრაგმენტულობას, დასავლური ღირებულებების მქონე ოპოზიციური პარტიები ძირითად საკითხებში ვთანხმდებით, მაგრამ როგორც დრომ და სიტუაციამ გვიჩვენა, დეტალებშიც საჭიროა შეთანხმება და, ვფიქრობ, აქ ბევრი სამუშაო გვაქვს.

**- სხვათა შორის, ამას წინათ პარლამენტარმა თაკო ჩარკვიანმა განაცხადა, რომ ყოფილი პრემიერ-მინისტრი გილაური ახალ პარტიას ქმნის ივანიშვილის თანხმობით და მასში, სავარაუდოდ, მელია და დეკანოიძე გაერთიანდებიან. მსგავსი ოპოზიციური ურთიერთბრალდებები რისი მანიშნებელია?**

- ბატონმა გილაურმა სოციალურ ქსელში გააკეთა საჯარო განცხადება და უარყო, რომ ახლო მომავალში პოლიტიკაში დაბრუნებას ან ახალი პარტიის შექმნას გეგმავს. ვფიქრობ, ამით პასუხი გასცა იმ კითხვებს, რომლებიც თაკო ჩარკვიანის განცხადებას მოჰყვა. რაც შეეხება მოტივაციას, თუ რატომ ხდება პერიოდულად ოპოზიციონერებისგან მსგავსი საკითხების წამოწევა, მიზეზი ბოლოს განვითარებულ მოვლენებში უნდა დავინახოთ. „ქართულმა ოცნებამ“ დაკარგა მორალური უფლება, იყოს ხელისუფლებაში. ივანიშვილი, როცა დასჭირდება, თეორიულად და რეალურადაც ეცდება ალტერნატიული ძალის შექმნას, რომელიც, სავარაუდოდ, მკვეთრად გაემიჯნება იმ კურსს, რაც მმართველ ძალას აქვს. შესაბამისად, ჩნდება გარკვეული ეჭვები ამ მიმართულებით, ეს ლოგიკურია, მაგრამ კონკრეტული პირების მიმართ თუ გაჩნდა კითხვები, უბრალო განცხადების გარდა, უპრიანი იქნება უფრო წონადი ფაქტების მოყვანა, რაც ქართულ პოლიტიკაში სხვა პოლიტიკური სტანდარტების დაწესებას ითვალისწინებს.

**- მძაფრი აზრთა სხვაობაა ოპოზიციასა და მმართველ პარტიას შორის ევროკავშირის 12 პუნქტის შესრულებასთან დაკავშირებით. ამ მხრივ რა მოცემულობაა?**

- უნდა აღვნიშნოთ, რომ განსხვავება ოპოზიციასა და პოზიციას შორის საქართველოს მომავალთან დაკავშირებული ხედვაა, რომელიც ღირებულებებზე გადის. მოქმედ ხელისუფლებას, იანუკოვიჩივით, არ სურს ევროკავშირის სტრუქტურებში საქართველოს გაწევრიანება და ბოიკოტს უცხადებს ამ პროცესს. მეტიც, ყველაფერს აკეთებს, რომ თავად ევროპამ გვითხრას გაწევრიანებაზე უარი. ეს არის საბოტაჟი ქართული სახელმწიფოს მიმართ. ამიტომ არა მარტო შინაარსობრივი, არამედ ღირებულებითი განსხვავებები გვაქვს „ქართულ ოცნებასთან“ 12 პუნქტის შესრულებასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, მათთან მოლაპარაკება ამ 12 პუნქტის ჩაგდებას გულისხმობს.

**- ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ევროკავშირის პრაქტიკულად ყველა ვალდებულება კანდიდატის სტატუსის მიღებასთან დაკავშირებით, შეასრულეს და ოპოზიციის ბრალდებები უსაფუძვლოა...**

- 12 პუნქტი ევროსტრუქტურების მოწოდებულია და, ბუნებრივია, შესრულების თვისობრიობა მათი შესაფასებელია. და რა გვესმის ჩვენი სტრატეგიული პარტნიორებისგან? ის, რომ ევროკავშირის წარმოდგენილი პუნქტების შესრულება ფიქტიურია და არა - ფაქტიური, ანუ, მარტივ ენაზე რომ ვთქვათ, „ქართული ოცნება“ აღებულ ვალდებულებებს ასრულებს არა საქმით, არამედ ქაღალდზე. თქვენ რომ ბრძანდებოდეთ ევროკომისიაში გადაწყვეტილების მიმღები პირი, ამ სიტუაციაში ჩაუთვლიდით რომელიმე ქვეყანას წარდგენილი მოთხოვნების შესრულებას დამაკმაყოფილებლად? ეს ხომ თავის მოტყუება იქნებოდა თქვენი მხრიდან?

**- არანაკლებ მნიშვნელოვან საკითხზე მსურს თქვენი ყურადღების გამახვილება - საქართველოს პრეზიდენტი მკაცრად აკრიტიკებს მმართველ პარტიას. სხვათა შორის, მამუკა მდინარაძემ აღიარა, რომ მათ ზურაბიშვილის არჩევისას ძალა არ დაიშურეს. ეს რისი მანიშნებელია?**

- კი, ასეა, „ქართულმა ოცნებამ“ ყველაფერი გააკეთა, სალომე ზურაბიშვილი საქართველოს პრეზიდენტი რომ გამხდარიყო, მაგრამ, როგორც ვხედავთ, პრეზიდენტი არ აპირებს, ჩაჰყვეს პოლიტიკურ სამარეში „ქართულ ოცნებასა“ და ირაკლი კობახიძეს. არ აპირებს, უღალატოს საქართველოს ევროპულ მომავალს, რაც მისასალმებელია, მაგრამ კარგი იქნება, თუ ქალბატონი სალომე, განცხადებების გარდა, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში კონკრეტულ ქმედებებზეც გადავა.

**- ვხედავთ იმასაც, რომ პარტიები, გარკვეულწილად, სამომავლო არჩევნებისთვის ემზადებიან, ცალკე ტრიო („დროა“, „გირჩი“ და „სტრატეგია აღმაშენებელი“), ცალკე - „ლელო საქართველოსთვის“, აქტიურობს „ნაცმოძრაობაც“. ამ მხრივ ოპოზიციურ სპექტრს რა რესურსი აქვს ხელისუფლებასთან საპაექროდ?**

- ბუნებრივია, ყველა პარტიას ცალკე, დამოუკიდებლად საკუთარი დღის წესრიგი აქვს, მაგრამ ვფიქრობ, არჩევნებისთვის დასავლეთის ღირებულებების მქონე პარტიების ერთიანობას ალტერნატივა არ გააჩნია, თუ რუსული ხელისუფლების დამარცხება გვინდა.

**- ახალი სახალხო დამცველის საქმიანობას როგორ შეაფასებთ?**

- მართალია, დიდი ხანი არ არის, რაც ახალ სახალხო დამცველს მხარი დაუჭირა პარლამენტმა, მაგრამ ამ მოკლე პერიოდში ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა, რომელიც სახალხო დამცველისგან სწრაფ რეაგირებას მოითხოვდა. ომბუდსმენის რეაქცია ხშირ შემთხვევაში დაგვიანებულია და პრინციპულობა ნამდვილად აკლია. დანარჩენს დრო გვიჩვენებს.

**- განვლილმა არჩევნებმა ცხადყო, რომ ამომრჩევლის დაახლოებით 50 პროცენტი არჩევნებზე არ მიდის. ამ კუთხით ოპოზიციის საქმიანობას როგორ შეაფასებდით?**

- ოპოზიცია ელექტორალური მიმართულებით ბევრს მუშაობს, მაგრამ ფაქტია, რომ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. მოსახლეობას უნდა ვაჩვენოთ, რომ თითოეული მოქალაქის ხმა გადამწყვეტი და მნიშვნელოვანია ქვეყნის მომავლისთვის. თუ გვინდა ევროპა, უფრო მეტი აქტიურობა გვმართებს ყველას.

***„ ოპოზიცია ელექტორალური მიმართულებით ბევრს მუშაობს, მაგრამ ფაქტია, რომ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. მოსახლეობას უნდა ვაჩვენოთ, რომ თითოეული მოქალაქის ხმა გადამწყვეტი და მნიშვნელოვანია ქვეყნის მომავლისთვის. თუ გვინდა ევროპა, უფრო მეტი აქტიურობა გვმართებს ყველას***

**- როგორც გაცხადდა, თქვენი პარტია უახლოეს მომავალში მოსახლეობას სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით ქვეყნის განვითარების სტრატეგიას შესთავაზებს...**

იხ. მე-7 გვ.

## უცხოეთი

ორგანოს, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს მშვიდობას, თავმჯდომარეობს სახელმწიფო, რომელიც არღვევს გაეროს წესდებას და საფრთხეს უქმნის მთელი მსოფლიოს უსაფრთხოებას, - განაცხადა ჩეხეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა იან ლიპავსკიმ. მისი თქმით, საჭიროა გაეროს უშიშროების საბჭოს რეფორმირება. გაეროს უშიშროების საბჭოში რუსეთის თავმჯდომარეობა საპირველაპრილო ხუმრობას შეადარა ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტმა ჟოზეფ ბორელმა. როგორც მან აღნიშნა, ევროკავშირი იმუშავებს, რომ რუსეთმა თავმჯდომარეობის ერთთვიანი პერიოდი ბოროტად არ გამოიყენოს. რუსეთმა გაეროს უშიშროების საბჭოში თავმჯდომარეობა 1-ელ აპრილს გადაიბარა. საბჭოს 15 წევრი თითო თვით, მონაცვლეობით ხელმძღვანელობს. რუსეთი თავმჯდომარე ქვეყანა ბოლოს 2022 წლის თებერვალში იყო.

* * *

საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი, ევროკომისიის პრეზიდენტ ურსულა ფონ დერ ლაიენთან ერთად, 5 აპრილს პეკინში გაემგზავრება. მაკრონის განცხადებით, ევროპის ქვეყნები მზად არიან, ჩინეთთან ითანამშრომლონ, თუმცა მათი დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვლება, თუ ის რუსეთს სამხედრო დახმარებას გაუწევს. მაკრონის ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ ჩინეთი ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც შეუძლია ომის ვითარების შეცვლა ორივე მიმართულებით. ჩინეთში უკვე იმყოფებოდა ესპანეთის პრემიერ-მინისტრი პედრო სანჩესი, რომელიც ერთ-ერთი პირველი ევროპელი ლიდერია, ვინც პეკინს უკრაინის ომის დაწყების შემდეგ ეწვია.

* * *

ჩვენ უნდა ვასწავლოთ აშშ-ს გაკვეთილი ამ არჩევნებზე, აშშ-ის ელჩისთვის პრეზიდენტის კარი დახურულია, - განაცხადა თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა. მისი კრიტიკის მიზეზი თურქეთში აშშ-ის ელჩ ჯეფრი ფლეიკის სურვილი გახდა, შეხვდეს თურქეთის ოპოზიციის კანდიდატს საპრეზიდენტო არჩევნებში ქემალ კილიჩდაროღლუს. „თქვენ ხართ ელჩი. აქ თქვენი თანამოსაუბრე არის პრეზიდენტი. ახლა რა სახით მოსთხოვთ პრეზიდენტს დანიშვნას? ჩვენი კარი დაკეტილია მისთვის, ის ველარ შემოვა. რატომ? თქვენს ადგილს გაიგებთ, გეცოდინებათ თქვენი, როგორც ელჩის მოვალეობა, გაიგებთ, თუ როგორ მუშაობს ელჩი. კარგად ვემზადებით 14 მაისისთვის. კარგად მივდივართ. ჩვენ 6 მილიონზე მეტი ახალგაზრდა გვყავს და ამ ახალგაზრდების პოზიცია ამ არჩევნებზე ძალიან, ძალიან მნიშვნელოვანია“, - განაცხადა ერდოღანმა.

* * *

ფინეთის პრემიერ-მინისტრ სანა მარინის პარტია საპარლამენტო არჩევნებში დამარცხდა. „სოციალ-დემოკრატებმა“ ხმების 19,9% მიიღეს და მესამე ადგილზე გავიდნენ. არჩევნებში ხმების 20,8%-ით მემარჯვენე „ეროვნული კოალიციის“ პარტიამ გაიმარჯვა. მეორე ადგილზეა მემარჯვენე პოპულისტური „ფინელების პარტია“ ხმების 20,1%-ით. სანა მარინმა დამარცხება აღიარა და გამარჯვებული პარტიების ლიდერებს მიულოცა. რაც შეეხება 2 აპრილს გამართულ ბულგარეთის საპარლამენტო არჩევნებს, მასში სავარაუდოდ რეფორმისტულმა კოალიციამ გაიმარჯვა, რომელსაც ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრი კირილ პეტკოვი ხელმძღვანელობს. ბოლო 2 წლის განმავლობაში ეს ქვეყანაში მეხუთე არჩევნებია.

მოამზადა
ია შველიძე

# მოქალაქეებს მათი პოლიტიკური შეხედულების მიხედვით არ არჩევს...

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

***ჩვენი სტუმარია შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი კეკელიძე.***



- შუახევი გამორჩეულია თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, ბუნებრივ-კლიმატური პირობებით. ოქროპილაურში, ფურტიოში, ლაკლაკეთში ხეხილი ყვავილობას რომ იწყებს, ნაღვარევში, ინწკირვეთში, წელათსა და კვიახიძეებში მიწას თოვლი ფარავს. აქაური კაცის ცხოვრება ამინდზეა დამოკიდებული. წელსაც ბარის სოფლებში მცხოვრებ ფერმერებს მარტის ბოლო დღეების კონტრასტულმა ამინდმა საადრეო ხილის, კაკლის, თხილის მოსავალი გაუნადგურა. მთაში უხვმა ნალექებმა მეწყრული პროცესები თითქმის ყველა სოფელში გაააქტიურა. უკვე ხელთ გვაქვს გეოლოგიური სამსახურის სპეციალისტების დასკვნები. 200-მდე ოჯახი ადგილმონაცვლეობას, საცხოვრებელი სახლების გამაგრებას საჭიროებს. რიგ ტერიტორიაზე თოვლი ჯერ არ გამდნარა და აპრილის დღეები, დაჩქარებული თოვლდნობა რას გვიქადის, არავინ უწყის.

**- თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოები ბუნების ასეთ შემთხვევას როგორ უმკლავდება?**

- ბუნების ჭირვეულობას, ისიც მთაში, კანონი და წინასწარი ღონისძიებების გატარება ვერ დაუპირისპირდება. ყველგან და ყველაფერში სიფხიზლე და სიფრთხილეა საჭირო, რომ ადამიანების მსხვერპლი ავიცილოთ. უფლის წყალობით, მერიის, საკრებულოს, თვითმმართველობის სხვა სამსახურების ოპერატიული მოქმედებებით, ჯერჯერობით, მსხვერპლი არ ყოფილა. იმედია, აპრილი-მაისიც ასე ჩაივლის. არადა, ბუთურაულში, ნიგაზეულში, ცინარეთში, ჯაბნიძეებში, მახალაკიძეებში, მოფრინეთში, დღვანში, ტაკიძეებში, წყაროთაში სტიქია სერიოზული პრობლემების წინაშე გვაყენებს. დაზარალებული ოჯახების სტიქიის ზონიდან გაყვანა ისედაც დაცარიელებულ სოფლებს კიდევ უფრო დაცლის. და ეს მაშინ, როცა ქვეყნის, რეგიონის, თუნდაც ჩვენი თანადგომით, ბუთურაულში ბაგა-ბაღი გაიხსნა, აქაურებს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო სკოლის ახალი შენობის აგებას ჰპირდება. კეთილმოეწყო სოფლის ცენტრი. სოფელში ასფალტ-ბეტონის საფარიანი გზა შედის. სასაყვედურო არაფერი აქვთ ჩემი მშობლიური სოფლის - ნიგაზეულის მკვიდრებს. წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან მობილიზებული თანხით, სოფლის ცენტრის კეთილმოწყობასაც ვაპირებთ. როგორც საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, მუნიციპალიტეტის ყველა სოფელსა და უბანში გაკეთებულ საქმეებს კარგად ვიცნობ. დღვანელი დედები ბაგა-ბაღის გახსნას ითხოვდნენ. მათი თხოვნა დაკმაყოფილებულია. მერიის ხელმძღვანელობასთან ერთად, ნენიელ დედებსაც ვუსრულებთ თხოვნას - აქ არსებულ სკოლის თანამედროვე შენობას, კალათბურთის, ფრენბურთის და მინიფეხბურთის სტადიონს მალე ბაგა-ბაღიც შეემატება. გულით მიხარია, რომ ნენია დაცარიელების საფრთხის წინაშე არ დგას.

**- რა მნიშვნელოვან პროექტებს გაიხსენებთ, რომლებიც თითოეული შუახეველის კეთილდღეობაზეა ორიენტირებული?**

- «თვითმმართველობის კოდექსის», მისგან გამომდინარე კანონებისა და საკრებულოს რეგლამენტის თანახმად, მიმდინარე და რიგგარეშე სხდომებს ვატარებთ. რიგგარეშე სხდომა იმ დროს იმართება, როცა ინიცირებული პროექტი გარკვეულ ვადებს ითხოვს. ეს პირველ რიგში, ადგილობრივ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანას ეხება. მარტის სხდომაზე მერიის სამსახურის უფროსმა დავით დავითაძემ «სოფლის მხარდაჭერის პროგრამით» გასაკეთებელ პროექტებზე ინფორმაცია წარმოადგინა. დეპუტატებმა მოსაზრებები გამოვთქვით. წელს სოფლებში კრებები ორგანიზებულად ჩატარდა. მოსახლეობამაც პროექტები თავისი შეხედულებისამებრ ამოარჩია. უკვე დავიწყეთ მუშაობა, რომ კონკურსები დროულად გამოცხადდეს და გამარჯვებულმა ფირმებმა, მეწარმეებმა სამუშაოები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში დაასრულონ. საკრებულოში მმართველი პარტია უმრავლესობით ვართ წარმოდგენილი. ჩვენი მუშაობა ორიენტირებულია შემოსული პროექტის დროულ განხილვასა და ამოქმედებაზე. მერიის სამსახურებმა უკვე პროექტების თემატურობა გაამრავალფეროვნა, ვადებსაც იცავენ, რაც თითოეული ჩვენგანის პასუხისმგებლობას მიეწერება.

**- თავად თუ ხართ რომელიმე პროექტის ავტორი?**

- სპორტი ჩემი გატაცებაა. მახარებს ის მიღწევები, რაც ბოლო დროს შუახეველ სპორტსმენებს ქართულ ჭიდაობაში, სათხილამურო სპორტში, მაგიდის ჩოგბურთში, სხვა სახეობებში აქვთ. გამარჯვებული სპორტსმენების, მათი მწვრთნელების მატერიალური წახალისება სპორტის ცალკეული სახეობების განვითარებასაც წაადგება. ეს პროექტი უკვე მოქმედებაშია. მწვრთნელები გელა ზოიძე, ლევან ხიმშიაშვილი, ალიკა მსახურაძე, გიორგი ავილოვი, ლევან თავდგირიძე მეტ დაინტერესებას იჩენენ. მარტში ქედაში აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის ორგანიზებით, 18 წლისა და ზემოთ, მოჭიდავეები 5 წონით კატეგორიაში ასპარეზობდნენ. ლევან ხიმშიაშვილის მიერ მომზადებული ორი სპორტსმენი აჭარის ჩემპიონი გახდა. საშუალო და უმცროს ასაკში კი აჭარის ჩემპიონები გელა ზოიძის გაწვრთნილი სპორტსმენები გახდნენ. იგი სოფელ ხაბელაშვილებში ფიზიკური აღზრდის მასწავლებლადაც მუშაობს. სოფელ დარჩიძეებსა და შუბანში ა(ა)იპ «შუბნის საქველმოქმედო ფონდის» ინიციატივით, ქართული ჭიდაობის სექციები გაიხსნა. იქ მომზადებული მოჭიდავეები უკვე ანგარიშგასაწევი სპორტსმენები არიან. გომარდულის ბუნებრივი სათხილამურო ბაზები კარგადაა ცნობილი. ანალოგიური ბაზების მოწყობა და სათხილამურო სპორტის განვითარება შეიძლება გოგაძეებში, წაბლანაში. ეს სოფელი მთა ღომას ესაზღვრება და აქ ივნისის დასაწყისამდე შესაძლებელია თოვლზე თხილამურებით სრიალი. ძალიან კარგ საქმეს დაუდეს სათავე ბრილში. აქ ადგილობრივი ბაზების გამოყენებისთვის მოძრაობა რამდენიმე წლის წინ დაიწყო და წელს, თებერვალში სათხილამურო სპორტის ზამთრის სახეობებში საჩვენებელი ტურნირიც გაიმართა. ღონისძიებას საკრებულოს წევრებიც ესწრებოდნენ. მერიის, თუნდაც სხვა ორგანიზაციების მიერ გამართულ ღონისძიებებზე საკრებულოს ხელმძღვანელებს გვიწვევენ, მისასალმებელი სიტყვითაც გამოვდივართ, რაც აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების შეთანხმებული მუშაობის დასტურია. მიწვეული ვიყავით საზოგადოებრივ-როდუნებითი დარბაზის «წუთისოფელი ასეა» ღონისძიებაზე, საღვთო და საერო დღესასწაულებზე.

> ***"დღეში, საშუალოდ, 10-მდე ამომრჩეველთან მაქვს კომუნიკაცია. მათ წინადადებებსა და სურვილებს დამოუკიდებლადაც ვერ შევეჭიდებით. იმ პრობლემის მოსაგვარებლად, რომელიც მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის არეალს სცილდება, ზემდგომ ორგანოებს ვაწუხებ. განსაკუთრებით ბევრია იმ მოქალაქეების მომართვიანობა, რომლებსაც მკურნალობა ესაჭიროებათ და სრულ დაფინანსებას ითხოვენ***

**- «ქართული ოცნების» შუახევის რაიონული ორგანიზაციის მმართველ რგოლშიც ხართ...**

- ორგანიზებულად ჩატარდა «ქართული ოცნების» შუახევის რაიონული ორგანიზაციის კონფერენცია, განახლდა რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელთა რიგები, თავმჯდომარედ მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე აირჩიეს. მისასალმებელია, რომ ახლად არჩეული ბიუროს შემადგენლობაში საკრებულოს 6 წევრი ვართ. გუნდური პრინციპით მუშაობა წინა წლებშიც დადებით შედეგს იძლეოდა და მომავალშიც ასე იქნება.

**- კონფერენცია მომავალი არჩევნებისთვის მზადება იყო...**

- მომავალი არჩევნებისთვის მზადება იმ დღიდანვე დავიწყეთ, როცა ამომრჩეველმა ნდობა გამოგვიცხადა და მმართველობით ორგანოებში დავსაქმდით. თავს არ ვიწონებ, მაგრამ დღეში, საშუალოდ, 10-მდე ამომრჩეველთან მაქვს კომუნიკაცია. მათ წინადადებებსა და სურვილებს დამოუკიდებლადაც ვერ შევეჭიდებით. იმ პრობლემის მოსაგვარებლად, რომელიც მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის არეალს სცილდება, ზემდგომ ორგანოებს ვაწუხებ. განსაკუთრებით ბევრია იმ მოქალაქეების მომართვიანობა, რომლებსაც მკურნალობა ესაჭიროებათ და სრულ დაფინანსებას ითხოვენ. პოლიტიკური ნიშნით მოქალაქე არასდროს გამირჩევია. ადამიანებს როცა უჭირთ და ჩვენგან შველას ითხოვენ, გვერდით უნდა დავუდგეთ. მინდა, თქვენი გაზეთით მადლობა გადავუხადო აჭარის მთავრობას, აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელებს, რომ ჩვენს შუამდგომლობას აკმაყოფილებენ. საკრებულოს ხელმძღვანელები თანადგომას არ ვაკლებთ სოციალურად დაუცველ ოჯახებს, მარტოხელა დედებს. ნიგაზეულელ მედეა ქარცივაძეს «ქალთა კვირეულის დღეებში» ოჯახში საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძესთან ერთად ვესტუმრეთ, დედის დღე საჩუქრით მივულოცეთ. შარშან საქველმოქმედო ფონდიდან შეგროვილი თანხით ნაყიდი სასურსათო პროდუქტები რამდენიმე ოჯახში დავარიგეთ. ძალიან კარგ წამოწყებას დაუდეს სათავე ხიჭაურის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა. თვითმმართველი კლუბის «მოხალისეობა» ფასილიტატორი პედაგოგის ნინო ქათამაძის და სკოლის დირექტორის თანადგომით, იუსაიდის პროგრამის ფარგლებში, რიგ აქტივობას ატარებს. საქმეში საკრებულოს თავმჯდომარე, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მალხაზ ტაკიძეც ჩართეს. უკვე სამ ოჯახს დაეხმარნენ.

**- ამომრჩეველთან საჯარო შეხვედრებს, მათი წინადადებებისა და პრობლემების მოსმენას შედეგი თუ მოაქვს?**

- საკრებულოს კომისიების (წევრი მეც ვარ), ბიუროსა და სესიის სხდომებზე პროექტების განხილვით ან ანგარიშების მოსმენით როდი შემოვიფარგლებით. მერიის შესაბამის სამსახურებთან ერთად, მონიტორინგს ვაწესებთ მიღებული დადგენილების ან გადაწყვეტილების დროულ, ხარისხიან და მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად შესრულებაზე. საკრებულოს წევრების, თუნდაც 7 მაჟორიტარი დეპუტატის აქტიურობის შედეგი იყო, რომ შარშან მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა. საკრებულოს თავმჯდომარემ სათავე დაუდო მოქალაქეებისთვის გაწეული საქმიანობის თაობაზე ინფორმაციის წარდგენას. როცა სოფელ ცინარეთის ცენტრის კეთილმოწყობა დასრულდა, სოფელს ვეწვიეთ, მივულოცეთ. მეც მაქვს გადაწყვეტილი ანალოგიური ანგარიშით წარვსდგე ნიგაზეულელი ამომრჩევლების წინაწე, როცა ამ სოფლის ცენტრის კეთილმოწყობა დასრულდება. მაჟორიტარულ ოლქში მოქალაქეების ინტერესების შესაბამისად მუშაობენ ფრიდონ ფუტკარაძე, ემზარ აბაშიძე, მურად ქათამაძე, ზაზა დავითაძე და მალხაზ ტაკიძე.

**- 2023 წლის პირველი კვარტალი მიილია. როგორ შეაჯამებთ განვლილ პერიოდს?**

- შარშანდელი შესაბამისი პერიოდის მაჩვენებლებთან შედარებით, წინსვლა იგრძნობა. ინფრასტრუქტურულ პროექტებზე წელს კონკურსი ცხადდება. ახლა ყველა შუახეველის, ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის 59-ე-69-ე კილომეტრზე მიმომსვლელთა ყურადღება, აქ ჩატარებული სამუშაოების დროულ დასრულებაზეა მიმართული. ზოგიერთი სკეპტიკურად უყურებდა ჩანჩხალოს კლდეებში მიმდინარე სამუშაოებს, რომელიც მშენებელმა კომპანიამ უმტკივნეულოდ შეასრულა. ახლა მთელი ძალები კლდისუბნის ტერიტორიაზე არსებული კლდოვანი მასის მონგრევაზეა გადატანილი. მისასალმებელია, რომ შუახევში კომპანია «სოკარის» წარმომადგენლები გამოჩნდნენ, რაც იმის მანიშნებელია, რომ დაბა შუახევის, ხიჭაურის დასახლების გაზიფიცირების სამუშაოები იწყება.

## სალომე ზურაბიშვილისა და ინგრიდა შიმონიტეს შეხვედრა

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ცნობით, პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ლიეტუვაში ოფიციალური ვიზიტისას ლიეტუვის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ ინგრიდა შიმონიტეს შეხვდა.

შეხვედრისას ხაზი გაესვა საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტის მნიშვნელობას როგორც რეგიონში შექმნილი გეოპოლიტიკური ვითარებიდან ასევე, საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესის გადამწყვეტი ეტაპიდან გამომდინარე.

საქართველოს პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა ლიეტუვას მუდმივი და მტკიცე მხარდაჭერის მნიშვნელობას საქართველოს სუვერენიტეტისა და ევროპული გზის მიმართ.



გავრცელებული ინფორმაციით, მხარეებმა ისაუბრეს რეგიონში არსებულ ვითარებაზე, უკრაინაში მიმდინარე ომზე და რუსულ აგრესიაზე. პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ გამოხატა სოლიდარობა უკრაინისა და უკრაინელი ხალხის მიმართ და აღნიშნა, რომ საქართველომ არაერთხელ საკუთარ თავზე გამოსცადა რუსული აგრესია და ის, რაც დღეს უკრაინაში ხდება.

საუბარი შეეხო საქართველოს ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მიღების მნიშვნელობას და აღინიშნა, რომ ეს უნდა იყოს როგორც პოლიტიკური, ასევე დამსახურებაზე დაყრდნობილი გადაწყვეტილება.

პრეზიდენტის განცხადებით, დღეს ქართველი ხალხი გაერთიანებულია ერთი საერთო მიზნის გარშემო და ეს საქართველოს ევროპული მომავალია, ეს კი დეპოლარიზაციისკენ წინგადადგმული ნაბიჯია.

მხარეებმა საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესი განიხილეს. აღინიშნა, რომ საჭიროა ნატოს მომავალ სამიტზე, რომელიც ვილნიუსში 11-12 ივლისს გაიმართება, საქართველო უმაღლესი დონით იყოს წარმოდგენილი. ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ საქართველო ალიანსის საიმედო პარტნიორია.

ამირან გურიელიძე

# რამ გადააწყვეტინა კალმის ხელში აღება აკაკი მახარაძეს?

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14



*საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკი **აკაკი მახარაძე** 8 წიგნის ავტორია. საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, სამწერლო და საზოგადოებრივ მუშაობას აქტიურად აგრძელებს. იგი ჩვენი სტუმარია.*

**- ბატონო აკაკი, როდის გადაწყვიტეთ, რომ დღიურებსა და გონებაში შემონახული რეალური ამბები მხატვრულ ფორმებში, ფურცელზე გადმოგეტანათ?**

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის რიგებიდან დათხოვნამდე, საქართველოში დისლოცირებული სასაზღვრო ჯარების რიგებში ვმსახურობდი, ოფიცრის ჩინით, სხვადასხვა თანამდებობაზე. დათხოვნის შემდეგ აქტიურ პედაგოგიურ საქმიანობას ვეწეოდი ბათუმის სახელმწიფო, დამოუკიდებელ და ვახტანგ გორგასლის სახელობის უნივერსიტეტებში სამართალმცოდნეობის მიმართულებით. ერთი პერიოდი ვხელმძღვანელობდი ბათუმის სამედიცინო-ეკოლოგიურ ინსტიტუტს, 2012 წლიდან კი შემოქმედებით საქმიანობას მოვკიდე ხელი. სკოლაში სწავლის პერიოდში ვწერდი ლექსებს, ძირითადად, ლირიკულ და პატრიოტულ მოტივებზე, მაგრამ სამხედრო-სასაზღვრო უწყებებში სამსახური და ლიტერატურულ-შემოქმედებითი საქმიანობა ერთმანეთს ვერ „ჰგუობს“... შემოქმედებითი მოღვაწეობა სულ სხვა გარემოსა და პირობებს მოითხოვს... ამიტომაც, შემოქმედებითი საქმიანობის თვალსაზრისით, თითქმის ოცდაათწლიანი წყვეტა მქონდა, მეხსიერებასა და დღიურებში დაგროვილი უზარმაზარი მასალა და მოგონებები კი თავის წილ დღის სინათლეს ელოდა.

**- პირველი რომანი „ტრეფიკინგის მსხვერპლი“ დროსა და მოვლენებზე რამდენად მისადაგებული იყო?**

- 1992-1998 წლებში ვმსახურობდი საქართველო-თურქეთის საზღვარზე, სარფის საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე ოპერატიული სამსახურის უფროსად. მქონდა ყოველდღიური კონტაქტი როგორც საქართველოს, ისე უცხო ქვეყნის, სხვადასხვა სტატუსის, პროფესიის, ხელობისა თუ ზნეობის მოქალაქეებთან. განსაკუთრებით გულს მიწვავდა უპოვართა ფენის სიდუხჭირე, გაუსაძლისი და გამოუვალი მდგომარეობა. შემხვედრია პატიოსანი მშრომელიც და მუქთახორა ზნედაცემულიც, თავდადებული ადამიანიც და ავანტიურისტი ვიგინდარაც, გაყიდულიც და გამყიდველიც... ერთი სიტყვით, მთელი გამა მაშინდელი საზოგადოებისა. განსაკუთრებით ვერ ვეგუებოდი ზოგიერთი ქართველის მორალურ და ზნეობრივ დეგრადაციას. ვთვლიდი და ვთვლი, რომ ყველა პატრიოტმა ქართველმა და მამულიშვილმა, ვისაც სამშობლოსა და მშობელი ერის კეთილდღეობისა და უკეთესი მერმისისთვის უძგერს გული, განგაშის ზარები უნდა დაარისხოს, სამზეოზე გამოიტანოს უკეთურობანი და მონიშნოს გზები თავის არიდებისა თუ გამოსწორებისა... ამანაც გადამაწყვეტინა წერა.

**- სამსახურებრივად, ჩრდილოეთ კავკასიასთანაც იყავით დაკავშირებული...**

- საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მის სამართალმემკვიდრედ რუსეთი გამოცხადდა, შესაბამისად, საბჭოთა შეიარაღებული ძალები და სასაზღვრო სისტემა რუსეთის ფედერაციის იურისდიქციაში მოექცა. თბილისში დისლოცირებულმა ამიერკავკასიის სასაზღვრო ჯარების ოლქმა სტრუქტურული ცვლილებები განიცადა - ის ჩამოყალიბდა როგორც კავკასიის საგანგებო სასაზღვრო ოლქი და შტაბი ახალი დისლოკაციის ადგილას - ქალაქ სტავროპოლში გადაიტანეს, ჩვენთან კი ამ ოლქს დაქვემდებარებული საჯარისო დაჯგუფება „საქართველო“ განთავსდა. დაჯგუფების სასაზღვრო ნაწილებს - ახალციხის, ხიჭაურის, ბათუმის და სოხუმის სასაზღვრო რაზმებსა და სხვა სტრუქტურულ ერთეულებს დაევალა საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვრის, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის გარე საზღვრის ფიზიკური დაცვა და უსაფრთხოება. ხშირად მიწევდა ჩრდილოეთ კავკასიის მხარესა და რესპუბლიკებში მივლინება. იქ გავიცანი, მოვიკითხე ჩვენი რეგიონიდან ადრე სხვადასხვა მიზეზით, სხვადასხვა დროს, ნებით თუ პირადი პრობლემების გამო იძულებით გადახვეწილი თანამემამულეები. ჩემთვის განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო მათი საქმიანობა კრასნოდარის მხარეში. მათი ბედი, „საქმენი საგმირონი“, განცდები და ნოსტალგია რომანში „უთქმელი ანდერძი“ მოვაქციე. თანაც, ჩემი თანამემამულეებისთვის მინდოდა მეთქვა: „სამშობლო, როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზედა“, - ნუ მიატოვებენ მას!...

**- თქვენი შემოქმედების მარგალიტია ტრილოგია „იდუმალი ფრონტის რაინდი“. გეოგრაფიული არეალი, სადაც ტრილოგიის მთავარი გმირის ცხოვრება, შრომა, გულაგებში ყოფნაა ასახული, თქვენთვის რამდენად ცნობილი იყო თუ მწერლის ფანტაზიის ნაყოფია?**

- სასაზღვრო ჯარების ოპერატიულ ორგანოებში ვმსახურობდი, წვდომა მქონდა შესაბამის დოკუმენტურ მასალებსა და სპეციალურ ლიტერატურასთან. ამას ერთვის ამ ორგანოებში სამსახურის მრავალწლიანი პირადი პრაქტიკა და გამოცდილება. ერთსაც გეტყვით, შორეულ ჩრდილოეთში განლაგებულ ციხე-კოლონიებში არსებული მდგომარეობის გაცნობა-შესწავლის, ობიექტური, რეალური წარმოდგენის შექმნისა და სათანადო მასალების მოპოვების მიზნით, 2009-2010 წლების მიჯნაზე, რამდენიმე თვის განმავლობაში ვიმყოფებოდი კომის რესპუბლიკაში, რაშიც დამეხმარნენ იქ მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები. მთავარი გმირის და საერთოდ, რომანის პერსონაჟთა სახეები კრებსითია. ასევე მინდოდა, ამ ფარულ ფრონტზე მთიანი აჭარის საზღვრისპირა მკვიდრთა როლი და წვლილი წარმომეჩინა, გამეანალიზებინა და ფართო საზოგადოებამდე ისე მიმეტანა. აჭარასა და აჭარლებზე, მათ ტრადიციებზე, ადათ-წესებზე, ქვეყნისა და მისი სახელმწიფო საზღვრის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში მათ წვლილსა და შემართებაზე, ბედსა თუ უბედობაზე, გმირობაზე მინდოდა მეტი სცოდნოდა მკითხველ საზოგადოებას. ტრილოგიაზე „იდუმალი ფრონტის რაინდი“ თითქმის თხუთმეტი წელი ვიმუშავე. ნაგროვებ-ნალოლიავები მასალები, საკუთარი თვალით ნანახი და განცდილი, რუსეთის შორეული ჩრდილოეთის ციხე-კოლონიებსა თუ სასჯელაღსრულების სხვა დაწესებულებაში ნაგვემ-ნატანჯი მილიონობით განწირულ-გაუბედურებული ადამიანის ყოფა და იქ ჩამკვდარი სიცოცხლე იმსახურებდა სამზეოზე გამოტანას!..

**- თქვენს ნაწარმოებებს მკითხველი, ლიტერატურული კრიტიკა დადებითად აფასებს...**

- ყოველთვის ვცდილობდი ობიექტური და თანმიმდევრული ვყოფილიყავი. პატრიოტული თემატიკა, მათ შორის, კრიტიკული, ჩემი შემოქმედების ამოსავალია. არავითარი ფანტასტიკა. ისტორიულ-დოკუმენტურ-მხატვრული სტილი ჩემთვის მთავარი და გადამწყვეტია. დეტექტიური კონტექსტიც რეალისტურია. ყველა მოვლენა თუ პასაჟი კონკრეტულ ისტორიულ პერიოდსა და გეოგრაფიულ არეალს მიესადაგება. ყოველი ლიტერატურული პერსონაჟისა თუ გმირის უკან კონკრეტული ადამიანების ბედი და ცხოვრებაა. ეტყობა, ამიტომაც „მწყალობს“ ლიტერატურული კრიტიკა და მკითხველი.

**- ოჯახში 5 ძმა, 2 და გაიზარდეთ. ქართულ სიტყვას მხოლოდ თქვენ შეეჭიდეთ?**

- საბედნიეროდ, მარტო მე არა - უფროსი ძმა - ვლადიმერი, ფარმაციის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. ფარმაცევტული კომპანია „ჰეკატეს“ გენერალური დირექტორია. იგი 12 წიგნის, მათ შორის, სამი სახელმძღვანელოს, 25 სამეცნიერო ნაშრომისა და 200-ზე მეტი პუბლიცისტური წერილის ავტორია. მისი სამეცნიერო ინტერესების სფეროა მენეჯმენტი, მარკეტინგი, ფარმაკოეკონომიკა, ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაცია და ეკონომიკა, ადმინისტრაციული და სოციალური ფარმაცია. გამოირჩევა აქტიური საზოგადოებრივ-საქველმოქმედო მოღვაწეობით. მეორე ძმა - შოთა, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, 12 წიგნის, 60-მდე სამეცნიერო ნაშრომის, 30-მდე თეზისისა და 50-ზე მეტი პუბლიცისტური სტატიის ავტორია. იგი შპს „ჰეკატეს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და ფინანსური დირექტორი, შპს „მმმ“-ის დამფუძნებელი და დირექტორი, საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის სათათბიროს წევრი, გაზეთ „შუახევის“ დამფუძნებელი და მუდმივი სპონსორი, ცნობილი ქველმოქმედი და მეცენატი გახლდათ. საუბედუროდ, შოთამ 2015 წლის იანვარში მიგვატოვა, გადავიდა ზეციურ საქართველოში... დანარჩენ დაძმებს, რატომღაც, ქართულ სიტყვასთან ჭიდილში ძალები არ უცდიათ...

**- ქართველი კლასიკოსებიდან ვინ არის თქვენთვის უსაყვარლესი?**

- ჩემთვის უსაყვარლესნი არიან ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი და კონსტანტინე გამსახურდია. მისაბაძ მწერლებად მივიჩნევ ლევან სანიკიძეს, მიხეილ ჯავახიშვილს, დავით კლდიაშვილსა და ნოდარ დუმბაძეს, სანიშნოდ - ჭაბუა ამირეჯიბსა და ლევან გოთუას... ისე კი ყველა კლასიკოს მწერალსა და შემოქმედს დიდად ვაფასებ და ქედს ვიხრი მათი დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი, შემეცნებით-პატრიოტული სულისკვეთებისა და მოღვაწეობის წინაშე.

**- უცხოელებიდან?**

- ალექსანდრე დიუმა, დანიელ დეფო, სერვანტესი, ერნესტ ჰემინგუეი, ლევ ტოლსტოი, ფიოდორ დოსტოევსკი... სხვაც ბევრი, მეშინია, არ გამომრჩეს...

**- შემოქმედებას გიფასებენ, თქვენი ნაწარმოებების წარდგინებაც გამართეს...**

- შემოქმედებითი საღამო ჩემ დაბადების დღეს მიესადაგა. იგი ლიტერატურულ-შემეცნებითი აკადემიური გაერთიანება „ხატიმამულის“ გამგეობის ორგანიზებითა და თაოსნობით მოეწყო. მადლობელი ვარ მათი, ვინც აქტიური მონაწილეობა მიიღო და მობრძანდა ამ საღამოზე. ასეთ ღონისძიებებს დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც საზოგადოებისთვის, ასევე ავტორისთვის, მისი შემოქმედების პირუთვნელი შეფასების, ნაწარმოებების წარმოჩენა-პოპულარიზაციისა და ფართო მკითხველი საზოგადოების სამსჯავროზე გატანის თვალსაზრისით.

**- საქართველოში სხვადასხვა სახის ლიტერატურული პრემია არსებობს. თუ გქონიათ მცდელობა, რომელიმე ნაწარმოები პრემიაზე წარგედგინათ?**

- ჯერ არა. ასეთ საქმეში პირადი ინიციატივა, რატომღაც, უხერხულად მიმაჩნია... სხვა საქმეა, როცა ავტორიტეტული ორგანიზაცია ან საზოგადოებრივი გაერთიანება წარგადგენს.

**- მორიდება და მოკრძალება ზოგჯერ, ძვირად ხომ არ გიფასდებათ?**

- „ათასად გვარი დაფასდა, ათიათასად ზრდილობა, თუ კაცი კაცად არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობა“... მე ამ პრინციპით მიცხოვრია. მორიდება და მოკრძალება პატიოსანი ადამიანის უცილო და ქცევის სანიშნო პირობაა. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ დღევანდელი საზოგადოება მოიცვა ფსევდოფასეულობებმა და ფსევდოღირებულებებმა, ხოლო ფსევდოლიბერალური მიდგომები, სიტყვის თავისუფლების პრინციპების არასწორი აღქმა მისაღებია, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, მათ შორის ინტერნეტი და სოციალური ქსელები, ყოვლისმომცველი და ყველასთვის ხელმისაწვდომია, ამ პირობებში, ეს თვისებები ადამიანის ქცევის აღსაქმელად და შესაფასებლად ნაკლებმნიშვნელოვანი და ნაკლებსანიმუშო გახდა... აქტუალურია ასევე ერთი შეგონება: - „სანამ ჭკვიანი მოიფიქრებდა, სულელი ფონს გავიდაო“... კი, საკმაოდ ძვირად მიჯდება, ხოლმე. რატომღაც ეს თვისებები მავანს სისუსტედ და ნაკლებად ერუდირებულობის გამოვლინებად მიაჩნია, მაგრამ გულს არ ვიტეხ ამით, რამეთუ უფრო ბრძნული შეგონებაც გვაქვს ქართველებს: „სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაჰკარგავსო“...

**- რომანებში, მოთხრობებში წარმოჩენილი ადამიანები თავს თუ შეიცნობენ?**

- თუ ადამიანს თვითკრიტიკისა და ობიექტური თვითშეფასების უნარი აქვს, შეიცნობს... ჩემი პერსონაჟების უკან რეალური ადამიანები დგანან, რეალური თავგადასავლებითა და განცდებით.

**- რომელიმე მათგანიდან გამოხმაურება გქონიათ?**

- არა. საერთოდ, ჩვენი საზოგადოება ნაკლებად კითხულობს... ბევრს არ სცალია წიგნისთვის. ტელევიზიითა და სოციალური ქსელებით იკმაყოფილებს ცნობის წადილს და იქიდან ღებულობს მისთვის სასარგებლო ან საჭირო ინფორმაციას!..

**- დაწერილს პირველად ვის აკითხებთ?**

- ჩემთვის ავტორიტეტებს: ძმას - ვლადიმერ მახარაძეს და ჩემს თხზულებათა ულალატო და შეუცვლელ რედაქტორებს.

**- შემფასებლის აზრს რამდენად იზიარებთ?**

- თუ ღირებულია, ყოველთვის. ყოფილა შემთხვევები, ზოგიერთი სიუჟეტიც კი შემიცვლია, ახალი თავებიც დამიმატებია, რამეთუ ჭკვიანი და კეთილისმოსურნე, ნიჭიერი ადამიანის აზრი ყოველთვის მისაღები და გასათვალისწინებელია. ჩემთვის უცხოა ამპარტავნება, სხვისი ჯანსაღი აზრის გაუზიარებლობა და ეფემერული თვითკმაყოფილება.

**- მწერალმა კრიტიკაც უნდა აიტანოს...**

- ჩემთვის პატივსაცემმა და ღირებულმა ორმა პიროვნებამ საქმიანი რჩევა და შენიშვნა მომცა. ეს, ძირითადად, ორთოგრაფიულ და გრამატიკულ შეცდომებს ეხებოდა...

**- წუთისოფლიდან წასული ძმის - შოთა მახარაძის ხსოვნას პატივი თუ მიაგეთ?**

- გამოვეცით მისი ნათელი ხსოვნისადმი მიძღვნილი წიგნი - „სიცოცხლე ხსოვნაში გრძელდება!“. მისი შემდგენელ-რედაქტორია ოთარ ცინარიძე, კონსულტანტები - ვლადიმერი და აკაკი, სპონსორი - ზურაბი. ძმებმა პატივგება ასე მოვიაზრეთ და გამოვხატეთ... წიგნში შესულია ახლობლებისა და კოლეგების მოგონებები, წერილები. მგონი, გამოგვივიდა...

**- მშობლიური მახალაკიძეების ისტორიული წარსულის ჯერი როდის მოვა?**

- უკვე მოვიდა. ვმუშაობ ისტორიულ რომანზე - „მართეთელი ალამდარი“. ვეცდები ჩვენი წინაპრების საგმირო და სანიმუშო საქმეები, ისტორიული ქარტეხილები, ბრძოლა მომხდურ მტერთან და თვითმპყრობელობასთან, ასევე ადათ-წესები და ცხოვრების სხვა ასპექტები მეტნაკლებად სარწმუნოდ და ობიექტურად წარმოვაჩინო... რომანი მოიცავს მე-19 და მე-20 საუკუნეების (დასაწყისის) პერიოდს. ასევე, ვგეგმავ, თანამედროვეობას ავუწყო ფეხი!..

**- ხომ არ გაგვიმხელთ, ახლა რა რომანზე მუშაობთ?**

- ვამთავრებ რომანს „სისხლი სისხლის წილ!..“, რომელშიც ისტორიულ-დეტექტიური კონტექსტით, საზღვრის კვეთის, შურისგების მიზნით ჩატარებული ტერორისტული აქტის გამოძიების ფონზე, გახსნილი და წარმოჩენილი იქნება დიდებული მესხეთის ტრაგედია - ოსმალეთის მიერ მოსახლეობის დაპყრობა - გამუსლიმანებისა და 1944 წელს მოსახლეობის შუა აზიაში გადასახლების პროცესები.

**- მერვე კლასიდან სამხედრო და სხვა სპეციალიზებული სკოლების კურსანტი იყავით. ქართული ენის საფუძვლიან ცოდნას ვის უმადლით?**

- პირველ რიგში, მშობლებს, უფროს და-ძმებსა და იმ წმინდა, მთიანი აჭარისთვის დამახასიათებელ, ქართულ გარემოს, სადაც გვზრდიან ქართულად, ვსაუბრობთ ქართულად, ვაზროვნებთ ქართულად, ვსწავლობთ ქართულად, გვიყვარს, და თუ გვძულს, ისიც მხოლოდ ქართულად. ასევე, ჩემს პედაგოგებს: ალექსანდრე მახარაძეს, დაწყებითი კლასების, შაქრო ჩიკვაიძესა და ნინო დოლიძეს - ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს.

**- რაა მთავარი, მშობლიური ენა რომ არ დაიკარგოს?**

- ამას ერთი ან ორი წინადადებით ვერ იტყვი, ისე კი ჩემს მოკრძალებულ აზრს მოგახსენებთ: აუცილებელია ქართველი ერის პატრიოტული სულისკვეთების შენარჩუნება-აღზევება, ეროვნული სკოლების გამართული მუშაობა პატრიოტულ-რელიგიური (მართლმადიდებლური) აღზრდის მოტივირებით, ქართული სახელმწიფოს მმართველი ორგანოების მესვეურთა სახელმწიფოებრივი და ეროვნული სულისკვეთება, ეროვნული აზროვნება, მიდგომები და შესაბამისი ქმედებები. ევროპული ცივილიზაციის თანაზიარობა არ ნიშნავს ეროვნული თავისთავადობისა და თვითმყოფადობის დათმობა-დაკარგვას. ჩვენს სახელოვან წინაპრებს უნდა ვენდოთ, მათი ბრძნული რჩევა-დარიგებანი და შეგონებანი გავიაზროთ და დავიცვათ. „თუ შენი თავი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები“, გვფარავდეს უფალი!

*„ვამთავრებ რომანს „სისხლი სისხლის წილ!..“, რომელშიც ისტორიულ-დეტექტიური კონტექსტით, საზღვრის კვეთის, შურისგების მიზნით ჩატარებული ტერორისტული აქტის გამოძიების ფონზე, გახსნილი და წარმოჩენილი იქნება დიდებული მესხეთის ტრაგედია - ოსმალეთის მიერ მოსახლეობის დაპყრობა - გამუსლიმანებისა და 1944 წელს მოსახლეობის შუა აზიაში გადასახლების პროცესები*

# ევროკომისია მზადაა, საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მიცემის რეკომენდაცია გასცეს

*ქართულ პრესაში ვრცელდება სასიხარულო პროგნოზი: ევროკომისია მზადაა, 2023 წლის ოქტომბერში საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიცემის რეკომენდაცია გასცეს. ეს სიახლე გარკვეულ წყაროებს ეყრდნობა და იმასაც გულისხმობს, რომ ხსენებული რეკომენდაციის მისაღებად საქართველომ ამ პერიოდში არ უნდა გადადგას ევროკავშირისგან დამაშორებელი ნაბიჯები და არ შეაჩეროს რეფორმები*



ოქტომბერში, როცა ასოცირებული ტრიოს ქვეყნების შესახებ მორიგი ანგარიშები გამოქვეყნდება, ევროკომისია გასცემს უკრაინისა და მოლდოვის ევროკავშირში გაწევრიანებაზე მოლაპარაკებების დაწყების რეკომენდაციასაც, თუმცა ჯერ აპრილია, ანგარიში კი ოქტომბერში გამოქვეყნდება, ხუთ თვეში რომ რაიმე შეიცვალოს, გასაკვირი ნამდვილად არ იქნება.

კიდევ ერთი დაბრკოლება ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე ისაა, რომ მაშინაც კი, თუ ევროკომისია მოლდოვისა და უკრაინის გაწევრიანების მოლაპარაკებების დაწყების რეკომენდაციით გამოვა, საბოლოო გადაწყვეტილება 27-მა წევრმა სახელმწიფომ უნდა გამოიტანოს, თუკი, რასაკვირველია, საერთო აზრამდე მისვლას შეძლებენ და ამ რეკომენდაციას დაამტკიცებენ.

საერთოდ, ევროკავშირში გაწევრიანება საკმაოდ ხანგრძლივი, შრომატევადი და რთული პროცესია, თუმცა უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ მისი დაჩქარების შანსი გაჩნდა.

ევროკავშირის წევრობის განაცხადი საქართველომ, უკრაინისა და მოლდოვის შემდეგ, 2022 წლის 3 მარტს წარადგინა. ამასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობამ ევროკომისიისგან მიიღო კითხვარი, რომელსაც უპასუხა და კვლავ ბრიუსელში გაგზავნა.

2022 წლის ივნისში ევროპულმა კომისიამ, საკითხის რეკორდული სისწრაფით განხილვების შემდეგ, უკრაინასა და მოლდოვას ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მიანიჭა, საქართველოს კი ევროპული პერსპექტივა მიანიჭა და კანდიდატის სტატუსის მისაღებად 12 რეკომენდაციის შესრულება მოსთხოვა.

საბოლოო ანგარიშს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე, რომელიც ოქტომბერში გამოქვეყნდება, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება გაწევრიანების მოლაპარაკებების დაწყების შესახებ გადაწყვეტილებაში. შეფასების მომზადება აპრილში დაიწყება.

ევროკომისია 2023 წლის მაისში დახურულ ფორმატში ზეპირად წარადგენს ანგარიშს რეკომენდაციების შესრულებაზე.

ამ 12 რეკომენდაციიდან ნაწილის შესრულებას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდება, მაგალითად, მართლმსაჯულების რეფორმას, დეოლიგარქიზაციას და ა. შ. თუმცა რეკომენდაციებში შედის ისეთი საკითხებიც, რომელთა შესრულება ბევრად მოკლე ვადაშია შესაძლებელი. ასეთია სახალხო დამცველის არჩევა კონსენსუსის საფუძველზე. ამ პოსტზე, 7 მარტს, მოგეხსენებათ, პარლამენტარებმა 96 ხმით ლევან იოსელიანი (დეპუტატი, პარტია „მოქალაქეების" წევრი) აირჩიეს,

ამავე პერიოდში „ქართულის ოცნების" საპარლამენტო უმრავლესობამ პირველი მოსმენით მიიღო კანონპროექტი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ", რასაც როგორც საზოგადოების ნაწილის, ისე უცხოელი პარტნიორების უარყოფითი რეაქცია მოჰყვა. ბევრმა ეს ნაბიჯი დასავლური კურსიდან გადახვევად ჩათვალა.

მაგალითად, ევროკომისიის საგარეო ქმედებათა სამსახურის პრესსპიკერმა პეტერ სტანომ განაცხადა, რომ საქართველომ ამ ნაბიჯით შესასრულებელი 12 რეკომენდაციიდან 2 დაარღვია.

ხელისუფლებამ მიიღო გონივრული გადაწყვეტილება, როცა 7-8-9 მარტის მასშტაბურ დემონსტრაციებს, ახალგაზრდების პატრიოტულ განწყობას ანგარიში გაუწია და პარტია „ხალხის ძალამ" პირველი მოსმენით მიღებული კანონპროექტი უკან გაიწვია. ევროკავშირი ამ ნაბიჯს მიესალმა და პოლიტიკურ პარტიებს კვლავ რეფორმების გაგრძელებისკენ მოუწოდა.

არაერთი ქართველი ექსპერტი ფიქრობს, რომ ევროკომისია საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებისკენ იხრება. ეს, მათი აზრით, განაპირობა, ერთი მხრივ, საზოგადოების ნათლად გამოხატულმა ნებამ, მეორე მხრივ კი ხალხის ამ ნებისთვის ხელისუფლების ანგარიშის გაწევამ და კანონპროექტის უკან გაწევამ, რაც პასუხისმგებლიან გადაწყვეტილებად შეფასდა.

28 მარტს ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა შარლ მიშელმა მოლდოვის დედაქალაქ კიშინიოვში პრეზიდენტ მაია სანდუსთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოსთვის საყურადღებო და დამაიმედებელი განცხადება გააკეთა. მისი თქმით, უახლოესი თვეების განმავლობაში მოსალოდნელია „მნიშვნელოვანი მომენტები" რამდენიმე ქვეყნის ევროინტეგრაციის თვალსაზრისით.

„ევროკომისიამ უნდა გამოაქვეყნოს შემდეგი ანგარიში ევროკავშირში გაწევრიანების პროცესთან დაკავშირებით, მოლდოვასა და უკრაინასთან დაკავშირებით და საქართველოს ევროპულ პერსპექტივასთან, ასევე დებატები მიმდინარეობს დასავლეთ ბალკანეთთან დაკავშირებით", - თქვა მან.

„მინდა კიდევ ერთხელ დავადასტურო, რომ ამ საკითხის ხელახლა დაყენებას ევროპული საბჭოს წინაშე წლის ბოლოსთვის ვაპირებ. ეს ნიშნავს, რომ წლის ბოლომდე საბჭომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ამ ქვეყნებთან მოლაპარაკებების დაწყების შესახებ. ეს იქნება პოლიტიკური გადაწყვეტილება ევროკომისიის მიერ მომზადებული ანგარიშის გათვალისწინებით", - განაცხადა შარლ მიშელმა.

ევროსაბჭოს პრეზიდენტის დამოკიდებულება ჩვენთვის საინტერესო საკითხზე კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდა ამ ფრაზაში: „გულწრფელად ვიმედოვნებ, რომ წლის ბოლოსთვის შესაძლებელი გახდება დადებითი გადაწყვეტილება".

ქართულ პრესაში ახლახან, გარკვეულ წყაროებზე დაყრდნობით, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ამჟამად ბრიუსელში არსებობს პოლიტიკური ნება, ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე შემდგომი ნაბიჯების გადასადგმელად ბიძგი მისცენ მოლდოვას, უკრაინასა და საქართველოს.

მოლდოვა და უკრაინა ერთი ნაბიჯით წინ არიან, მათი შემდეგი ნაბიჯი გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებების დაწყებაა, საქართველოსთვის კი კანდიდატის სტატუსი.

კანდიდატის სტატუსი ავტომატურად არ ნიშნავს გაწევრიანების მოლაპარაკებების დაწყებას. მეტიც, არც მოლაპარაკებების დაწყების შესახებ ევროკომისიის რეკომენდაცია ნიშნავს ამას.

მაგალითისთვის: ევროკავშირის დღის წესრიგში ჩრდილოეთ მაკედონიის წევრად მიღება 2005 წლიდან დგას, ანუ მას შემდეგ, რაც მას კანდიდატის სტატუსი მიენიჭა, მაგრამ გაწევრიანების მოლაპარაკებები, ევროკომისიის მრავალწლიანი რეკომენდაციების მიუხედავად, 2022 წლამდე არ დაწყებულა. ამას ხელს უშლიდა პროცესის დაბლოკვა ჯერ საბერძნეთის, შემდეგ კი ბულგარეთის მხრიდან.

ექსპერტები ფიქრობენ, რომ შესაძლოა საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას დამატებითი რეკომენდაციებიც მოჰყვეს.

უკრაინა-მოლდოვის წევრობის შესახებ მოლაპარაკებების დასაწყებად საჭიროა ევროკავშირის საბჭოში ერთხმად მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც უნდა ემყარებოდეს ევროკომისიის დასკვნას. კომისიამ უნდა დაადასტუროს, რომ კანდიდატი ქვეყანა ეგრეთ წოდებულ. კოპენჰაგენის კრიტერიუმებს აკმაყოფილებს.

ექსპერტების აზრით, სამივე ქვეყანასთან მიმართებაში პროცესის წინ წაწევის შესახებ გადაწყვეტილებისათვის მზაობას განაპირობებს კიდევ ერთი ფაქტორი: ევროკომისია ყველაფერს აკეთებს, რომ წელს მაქსიმუმი გააკეთოს ხსენებული სამი ქვეყნის ევროინტეგრაციისთვის, რადგან მომავალ, 2024 წელს ევროპარლამენტის არჩევები უნდა გაიმართოს, ამიტომ აუცილებელია სწრაფად მოქმედება. ოფიციალური პირები ხვდებიან, რომ ცოტა დრო აქვთ არა მარტო უკრაინაში გაჩაღებული ომის, არამედ ევროკავშირის არჩევნების მოახლოების გამოც.

**მოამზადა
მარი მიდასელმა**

> *არაერთი ქართველი ექსპერტი ფიქრობს, რომ ევროკომისია საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებისკენ იხრება. ეს, მათი აზრით, განაპირობა, ერთი მხრივ, საზოგადოების ნათლად გამოხატულმა ნებამ, მეორე მხრივ კი ხალხის ამ ნებისთვის ხელისუფლების ანგარიშის გაწევამ და კანონპროექტის უკან გაწევამ, რაც პასუხისმგებლიან გადაწყვეტილებად შეფასდა*

# „სამრეწველო ემისიების შესახებ" კანონპროექტს მხარი დაუჭირეს

საქართველოს პარლამენტის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტმა საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „სამრეწველო ემისიების შესახებ" კანონპროექტი თანმდევ პროექტებთან ერთად განიხილა და მას პირველი მოსმენით მხარი დაუჭირა.



გავრცელებული ცნობით, საკანონმდებლო პაკეტის მიზანია, ევროკავშირის დირექტივების შესაბამისად, სამრეწველო საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში, წყალსა და მიწაში ემისიების პრევენცია ან შემცირება, ასევე, ნარჩენების წარმოქმნის პრევენცია.

„საკანონმდებლო პაკეტის მიღება დაკავშირებულია ასოცირების შესახებ შეთანხმების შესრულებასთან და მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების კუთხით", - განაცხადა კომიტეტის თავმჯდომარე მაკა ბოჭორიშვილმა.

სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს" წარმომადგენელმა ვენერა მეტრეველმა კომიტეტის წევრებს კანონპროექტთა პაკეტთან დაკავშირებული ძირითადი სიახლეები გააცნო.

„სამრეწველო ემისიების შესახებ" კანონპროექტი ეფუძნება სამრეწველო ემისიების შესახებ ევროკავშირის დირექტივას, რომელთა ჰარმონიზების ვალდებულება ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან გამომდინარეობს", - აღნიშნა ვენერა მეტრეველმა.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, კერძო სექტორისთვის ამოქმედდება ახალი ვალდებულებები მსხვილი საწარმოების გადაიარაღებისა და ტექნოლოგიური პროცესის გაუმჯობესების ნაწილში, დაინერგება ახალი ინტეგრირებული სანებართვო სისტემა.

კანონპროექტით გათვალისწინებული სიახლეების მნიშვნელობიდან და მოცულობიდან გამომდინარე, დაგეგმილია კანონის ეტაპობრივი ამოქმედება 2026 წლიდან.

**ამირან გურიელიძე**

## უკრაინა

ახლა მთავარია, გავუფრთხილდეთ ჩვენს ერთიანობას, ვიზრუნოთ ჩვენს დამცველებზე, დავეხმაროთ ერთმანეთს და სახელმწიფოს. დიდება ყველას, ვინც ახლა იბრძვის უკრაინისთვის! დიდება უკრაინას! - ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ თავის მიმართვაში განაცხადა. მან მადლობა გადაუხადა მეომრებს, რომლებიც უკრაინის სხვადასხვა წერტილში იბრძვიან. „მადლობელი ვარ ჩვენი მეომრების, რომლებიც იბრძვიან ავდიივკასთან, მარინკასთან, ბახმუტთან... განსაკუთრებით, ბახმუტთან, იქ ყველაზე ცხელი წერტილია, ბილოჰორივკასთან, კრემინასთან და დონბასის ყველა ჩვენს სხვა ქალაქსა და სოფელთან. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო 77-ე ცალკეული საავიაციო ბრიგადა, 67-ე და 92-ე ცალკეული მექანიზებული ბრიგადები, ჩვენი მედესანტეები, მე-5 ბრიგადა... მადლობა, ბიჭებო! 35-ე და 36-ე ბრიგადების საზღვაო ქვეითები, 55-ე ბრიგადის მსროლელები, 406-ე საარტილერიო ბრიგადის 64-ე და 66-ე დივიზიები... მადლობა, მეომრებო! მადლობა ყველას, ვინც იცავს ზაპოროჟიეს, ხერსონის რეგიონს, დნეპროპეტროვსკის ოლქისა და ხარკოვის, სუმის რეგიონისა და ჩერნიგოვის რეგიონის მიმართულებებს... ყველას, ვინც იცავს ჩვენს საზღვარს. რა თქმა უნდა, მინდა ცალკე მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც წვრთნის ჩვენს მეომრებს, რადგან წარმატებული საბრძოლო შედეგი სწორედ მძლავრ წვრთნას ეფუძნება“, - აღნიშნა ზელენსკიმ.

* * *

პოლონეთისა და სლოვაკეთის გადაწყვეტილება „მიგ-29“ ტიპის ავიაგამანადგურებლების უკრაინისთვის გადაცემაზე სხვებისთვის მაგალითი უნდა იყოს. ამის შესახებ პოლონეთის მინისტრმა ევროკავშირის საკითხებში შიმონ შინკოვსკიმ განაცხადა. მისი თქმით, გერმანია უკრაინის დასახმარებლად პრაქტიკული გზების გამონახვის ნაცვლად ხშირად ფორმალობითაა დაკავებული. „დაიჭირეთ სიკეთის მხარე არა მხოლოდ სიტყვით, არამედ საქმითაც“, - აღნიშნა შინკოვსკიმ. უკრაინის ხელისუფლებამ არაერთხელ მოუწოდა მოკავშირეებს, თანამედროვე საბრძოლო თვითმფრინავები გადასცენ, რომლებსაც შეუძლიათ დაეხმარონ უკრაინას, ცის დაცვასა და კონტრშეტევის განხორციელებაში. მარტში პოლონეთის პრეზიდენტი ანჯეი დუდა უკრაინას „მიგ-29“ ტიპის 4 თვითმფრინავის მიწოდებას დაჰპირდა. მოგვიანებით სლოვაკეთმა გამოაცხადა, რომ უკრაინას „მიგ-29“ ტიპის 13 თვითმფრინავს გადასცემს. აღსანიშნავია, რომ ქვეყანამ უკრაინას პირველი ოთხი ავიაგამანადგურებელი უკვე გადასცა.

* * *

გერმანული სამხედრო კონცერნი Rheinmetall-ი უკრაინისთვის მიწოდებული მძიმე ტექნიკის შესაკეთებლად რუმინეთში ბაზას გახსნის. ამის შესახებ Reuters-ი თავად კომპანიაზე დაყრდნობით წერს. სარემონტო და ლოგისტიკური ბაზა უკრაინის საზღვართან აშენდება და მოემსახურება გერმანულ Leopard-ის ტანკებს, ბრიტანულ Challenger-ებს, Marder-ის და Fuchs-ის ჯავშანტრანსპორტიორებს, ასევე სამხედრო სატვირთო მანქანებს. „Rheinmetall-ის მთავარი ამოცანა ნატოსა და უკრაინის ჯარების მხარდაჭერის უზრუნველყოფაა“, - თქვა არმინ პაპერგერმა, თავდაცვის კონცერნის ხელმძღვანელმა.

* * *

საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) დირექტორთა საბჭომ უკრაინის დასახმარებლად დაამტკიცა ოთხწლიანი ტრანში 15,6 მილიარდი დოლარის ოდენობით. Reuters-ის ინფორმაციით, ეს ტრანში 115 მილიარდი დოლარის მოცულობის უფრო დიდი საერთაშორისო პაკეტის ნაწილია. თანხამ უნდა დააკმაყოფილოს გადაუდებელი საჭიროებები უკრაინისთვის, რომელიც ერთ წელზე მეტია, თავს იცავს რუსეთის მიერ გაჩაღებულ ფართომასშტაბიან ომში. საერთაშორისო სავალუტო ფონდის პრესსამსახურის ცნობით, ფონდის გადაწყვეტილება შესაძლებელს ხდის კიევისთვის 2,7 მილიარდი დოლარის დაუყოვნებლივ გადარიცხვას. აღნიშნული ფინანსური მხარდაჭერა საომარ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისთვის საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხრიდან გადაუდებელი დახმარების პირველი შემთხვევაა. „რუსეთის შეჭრა უკრაინაში დამანგრეველ გავლენას ახდენს მის ეკონომიკასა და საზოგადოებაზე“, - თქვა საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელი დირექტორის პირველმა მოადგილე გიტა გოპინატმა. მისივე თქმით, ამის მიუხედავად, უკრაინის მთავრობამ შეძლო მაკროეკონომიკური და, ზოგადად, ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნება გამჭრიახი პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი საგარეო დახმარების წყალობით. ომის დასრულების შემდეგ უკრაინის პროგრესისა და ევროკავშირში გაწევრიანების გათვალისწინებით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ოფიციალური შეთანხმება უკრაინისთვის დახმარების შესახებ, ფონდისა და უკრაინის მთავრობის წარმომადგენლებმა 21 მარტს მიიღეს.

* * *

ბახმუტის ცენტრალურ უბნებზე უწყვეტმა შეტევებმა შედეგი გამოიღო - რუსეთის სამხედრო დაჯგუფება „ვაგნერისა“ და საჰაერო-სადესანტო ძალების



კომბინირებული შეტევების შედეგად, ოკუპანტებმა ქალაქ ბახმუტის ცენტრალური უბნების უმეტესი ნაწილი, საქალაქო ადმინისტრაციის შენობის ჩათვლით, დაიკავეს. უკრაინის შეიარაღებული ძალების სამხედრო დანაყოფებმა ქალაქის დასავლეთ ნაწილში გადაინაცვლეს, საიდანაც აგრძელებენ რუსების იერიშების მოგერიებას. ჯერჯერობით უცნობია, რა გადაწყვეტილება მიიღო უკრაინის გენშტაბმა ბახმუტთან დაკავშირებით - ეცდებიან ქალაქის დასავლეთი უბნების შენარჩუნებას სანამ შესაძლებელია, თუ უკვე იწყებენ ქალაქიდან გასვლას.

* * *

უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის განცხადებით, უკრაინის ყველა დროებით ოკუპირებული ტერიტორია გათავისუფლდება და თუ რუსული ჯარები მას არ დატოვებენ, განადგურდებიან. „კონკრეტულ საკითხებზე არ ვისაუბრებ, რათა რუსეთის ფედერაციის ტერორისტებს არ მივცეთ საშუალება, მოემზადონ ჩვენი მეთოდებისა და დეოკუპაციის ნაბიჯებისთვის, მაგრამ ჩვენ ამას გავაკეთებთ და მათ ეს უნდა იცოდნენ. ჯერ კიდევ აქვთ დრო, იქიდან წავიდნენ, თორემ გავანადგურებთ“, - განაცხადა ზელენსკიმ ჩერნიგოვის ოლქის იაგოდნოეს დასახლებულ პუნქტში ვიზიტისას. ამასთან, პრეზიდენტმა არ დააზუსტა, როდის იქნება უკრაინის შეიარაღებული ძალები მზად კონტრშეტევისთვის, მაგრამ განაცხადა, რომ უკრაინელი სამხედროები ემზადებიან ტერიტორიის დეოკუპაციისთვის.

**მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ**

# მოლაპარაკებები – უშუალოდ ონკოპრეპარატების მწარმოებლებთან



საქართველოს ჯანდაცვის მინისტრმა ზურაბ აზარაშვილმა მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ უწყება ონკოლოგიური მედიკამენტების შესყიდვასთან დაკავშირებით მოლაპარაკებებს პირდაპირ მწარმოებლებთან აწარმოებს. მისი თქმით, პირდაპირი შესყიდვის გზით შესაძლებელი იქნება ონკოლოგიურ პაციენტებს მედიკამენტებზე სრული წლის საჭიროება დაუფინანსდეთ.

„ძვირად ღირებულ ონკოლოგიურ მედიკამენტებს რაც შეეხება, პირდაპირი რეკომენდაცია გვქონდა რეფერენტული ფასწარმოქმნისას, რომ ძვირად ღირებულ მედიკამენტზე რეფერენტული ფასები არ დაწესდება, არ მომხდარა სხვა ქვეყნებშიც. შესაბამისი რეკომენდაციით მოგვმართეს კონსულტანტებმა, საკონსულტაციო ჯგუფმა, როგორც ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის, ასევე მსოფლიო ბანკის დაქირავებულმა ექსპერტებმა. წავედით ძვირადღირებული მედიკამენტის პირდაპირი შესყიდვის გზით. გიდასტურებთ, რომ დაწყებული გვაქვს პირდაპირი შესყიდვის მოლაპარაკებები პირდაპირ მწარმოებლებთან. ერთ მხარეს იქნება მწარმოებელი კომპანია, მეორე მხარეს - სამინისტრო და აქაც დამატებითი ფასდაკლების, შეღავათიანი ფასის პირობებში შევძლებთ იმას, რომ ონკოლოგიურ პაციენტებს სრული წლის საჭიროება დავუფინანსოთ“, - განაცხადა მინისტრმა.

**ამირან გურიელიძე**

# მარტში ყველაზე მეტად გაძვირებული 10 საკვები პროდუქტი

ამა წლის მარტში, წინა თვესთან შედარებით, ინფლაციის დონემ საქართველოში -0,2 პროცენტი, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 5,3 პროცენტი შეადგინა. მიუხედავად იმისა, რომ ინფლაციამ შემცირება დაიწყო, წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

**სურსათი და უალკოჰოლო სასმელები:** ჯგუფში ფასები გაიზარდა 11,8 პროცენტით, რაც წლიურ ინფლაციაზე 3,91 პროცენტული პუნქტით აისახა.

ფასები მომატებულია შემდეგ ქვეჯგუფებზე:

**ბოსტნეული და ბაღჩეული** (28,8 პროცენტი), **პური და პურპროდუქტები** (16,8 პროცენტი), **რძე, ყველი და კვერცხი** (13,6 პროცენტი), **თევზეული** (10,9 პროცენტი), **ხორცი და ხორცის პროდუქტები** (10,4 პროცენტი), **მინერალური და წყაროს წყალი, უალკოჰოლო სასმელები** და **ნატურალური წვენები** (10,1 პროცენტი), **ყავა, ჩაი** და **კაკაო** (8,7 პროცენტი), **შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული** (2,7 პროცენტი). ამასთან, ფასები შემცირებულია **ხილსა** და **ყურძენზე** (-2,4 პროცენტი).

„ბიზნესპრესნიუსის“ ინფორმაციით, 2023 წლის მარტში ყველაზე მეტად გაძვირდა შემდეგი საკვები პროდუქტები:

**ხახვი** - 110,7%-ით; **სიმინდის ფქვილი** - 67,9%-ით; **მწვანე ლობიო** - 58,1%-ით; **კარტოფილი** - 49%-ით; **საზამთრო** - 39,9%-ით; **ნამცხვარი** - 36%-ით; **ტომატ-პასტა** - 32%-ით; **ვაფლი კრემით** - 31%-ით; **მდოგვი** - 27,6%-ით; **მწვანილი** - 27,3%-ით.

**ამირან გურიელიძე**



# „პოლიტიკოსები მუდმივად მზად უნდა ვიყოთ ნებისმიერი გამოწვევისთვის“

მე-3 გვერდიდან

- „სტრატეგია აღმაშენებლის“ ექსპერტულ ჯგუფებში მუდმივად მუშაობენ ქვეყანაში არსებული პრობლემების (პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური) მოგვარებაზე. უბრალოდ, ჩვენდა სამწუხაროდ, „ქართული ოცნების“ პირობებში გვიხდება საუბარი მხოლოდ 12-პუნქტიანი გეგმის შესრულებაზე და არა კონკრეტული მოქალაქეების კონკრეტულ პრობლემებზე. უახლოეს მომავალში აუცილებლად წარვადგენთ ქვეყნის განვითარების ჩვენეულ გეგმას.

**- საგარეო საკითხსაც შევეხოთ: ჰააგის სასამართლომ პუტინის დაპატიმრების ორდერი გასცა, ანუ მსოფლიომ განაჩენი გამოუტანა მას?**

- დიახ, ნამდვილად. ამ ნაბიჯით კოლექტიურმა დასავლეთმა დაანახა მსოფლიოს, რომ ბავშვების გამტაცებლებთან მოლაპარაკების პერსპექტივას ვერ ხედავს, სამხედრო დამნაშავესთან საუბარს არ აპირებს და თუ რუსეთს სურვილი ექნება უკრაინაში ომი შეაჩეროს, მაშინ ჯერ პუტინის პრობლემა უნდა მოაგვაროს.

**- დაბოლოს, ჩვენი ქვეყანა და უკრაინა დამოკიდებული არიან დასავლეთის მხარდაჭერაზე. რა გავლენა ექნება უკრაინის ომს საქართველოს მომავალზე?**

- უკრაინის ომში გამარჯვება არა მარტო ჩვენზე იმოქმედებს, არამედ მსოფლიოს, განსაკუთრებით კი ევროპის უსაფრთხოების ახალი არქიტექტურის შექმნის საფუძველი გახდება. მსოფლიო არ იქნება ისეთი, როგორიც 2022 წლის 24 თებერვლამდე იყო. ბევრი რამ შეიცვლება საქართველოშიც, მინიმუმ, ადგილობრივ პრორუსულ ძალებს, რომლებიც ჩვენი ქვეყნის განვითარებას აქტიურად უშლიან ხელს, საფუძველი გამოეცლებათ.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და აჭარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ა
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 3/04/23, $20^{35}$ სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

# სტუდენტებმა ორკესტრის თანხლებით იმღერეს

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

*ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლა თერთმეტწლედის დიდ საკონცერტო დარბაზში ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტის საოპერო მიმართულების და ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის სიმფონიური ორკესტრის ერთობლივი კონცერტი გაიმართა (პედაგოგები: დირიჟორი - მამუკა ალაფიშვილი და საოპერო მიმართულების ხელმძღვანელი - თამაზ ცერიაშვილი, ქორმაისტერი - ლელა დოლიძე, კონცერტმაისტერები - რუსუდან კვახაძე, ნინო ნიშნიანიძე, ეკატერინე სოსელია). მასში აკადემიური სიმღერის სტუდენტები და საოპერო მიმართულების გუნდი მონაწილეობდნენ*

საღამოზე შესრულდა მსოფლიოში აღიარებული კომპოზიტორების: დონიცეტის, პუჩინის, ვერდის, ფალიაშვილის, დოლიძის, მოცარტის, დვორჟაკის ცნობილი ნაწარმოებები.





მსმენელმა თბილად მიიღო ახალგაზრდა, ნიჭიერი და პერსპექტიული სტუდენტების მიერ შესრულებული არიები. სასიხარულოა, რომ ბათუმში ლამაზი ხმებითა და ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდები ოსტატდებიან, რაშიც სწორედ ასეთი კონცერტები უწყობს ხელს. რამდენიმე მათგანი ორკესტრთან ერთად პირველად იდგა სცენაზე.

შესანიშნავად წარმოაჩინეს საკუთარი შესაძლებლობები გიორგი გორჯელაძემ, დიანა ფალავანდიშვილმა, ირაკლი ჯინჭარაძემ, ხატია მუხაშავრიამ, გაბრიელ დევაძემ, ნატო ცქვიტინიძემ, დავით დიასამიძემ, გიორგი გობრონიძემ, ცირა ხაბაზმა, მარიამ ენდელაძემ, ელიზა ჩიკვაიძემ, სალომე ვაშაკიძემ, თათული ჩხეიძემ... შესანიშნავად წარსდგა მაყურებლის წინაშე საოპერო მიმართულების გუნდი და გოგონათა ანსამბლი. სტუდენტების გამოსვლა გულთბილად მიიღო მსმენელმა. კონცერტის შემდეგ მსმენელთა შთაბეჭდილებებიც ჩავწერეთ.

**ბაჩო ნაკაშიძე, ბათუმის მუსიკალური ცენტრის საოპერო დასის სოლისტი:**

- ასეთი კონცერტი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ახალგაზრდა მომღერლებს დაოსტატებაში უწყობს ხელს. ეს ის სცენაა, რომელზეც ავიდგი ფეხი, გავიზარდე... აქ ბევრი კარგი მუსიკოსი აღიზარდა. თამაზ ცერიაშვილს ვულოცავ, რადგან ასეთი საღამოები მისი ინიციატივით კეთდება. დღეს საოპერო ნაწყვეტები შესრულდა, რაც მნიშვნელოვანია დამწყები მომღერლისთვის. სოლო შესრულება გასაგებია, მაგრამ ოპერა ბევრ რამეს მოიცავს და აქედანვე რომ ეჩვევიან ანსამბლთან, ორკესტრთან ერთად შესრულებას, ეს ძალიან კარგია. რაც შეეხება ხმებს, ჩვენთან ყოველთვის იყო კარგი ხმები და ღმერთმა არ მოგვიშალოს ეს. მთავარია, ამ ხმების კარგად მართვა, რაც დღეს გამოჩნდა კიდეც.

**ლელა დოლიძე, გუნდის ქორმაისტერი:**

- გუნდი, ძირითადად, სტუდენტებისგან შედგება, მაგრამ რადგან ხელოვნების უნივერსიტეტის გუნდში მომღერალი მამაკაცების ნაკლებობაა, მოვიწვიეთ ისინი, რათა სრული გუნდი შემდგარიყო. რაც შეეხება კონცერტს, სტუდენტების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საკმაოდ რთულ პროგრამას თავი შესანიშნავად გაართვეს.

**დავით დიასამიძე, სტუდენტი:**

- უპირველეს ყოვლისა, ბატონ თამაზ ცერიაშვილს მინდა ვუთხრა ძალიან დიდი მადლობა, რომ სტუდენტ ახალგაზრდებს გამოცდილების მიღების შესაძლებლობას გვაძლევს, რათა ორკესტრთან ერთად ვიმღეროთ. ეს მომღერლისთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. ჩემი გამოსვლით კმაყოფილი ვარ, მინდა, სხვებსაც მივულოცო, ყველა კარგად გამოვიდა. იმედია, ხშირად ჩატარდება მსგავსი კონცერტები ორკესტრთან ერთად, რათა უფრო სწრაფად გავიზარდოთ. იცით, ორკესტრთან ერთად 5-10-წუთიანი სიმღერა ერთი წელი კლასში მზადებას უდრის. შესაძლოა, აქ ამ მცირე დროში გაცილებით მეტიც მიიღო. რა თქმა უნდა, ამ მომენტამდე პედაგოგს მიჰყავხარ, ამიტომ დიდი მადლობა ყველას, ვინც ეს კონცერტი დაგეგმა და გამოსვლის შესაძლებლობა მოგვცა.

**ირაკლი ჯინჭარაძე, სტუდენტი:**

- უნივერსიტეტის სახელით ორკესტრთან ერთად გამოსვლა მეორედ იყო ჩემს ცხოვრებაში. საერთოდ, ორკესტრთან ერთად სხვა დროსაც მიმღერია და ეს მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ მომღერალი კარგ გამოცდილებას იძენს, ოსტატდება, ამასთან, მუშაობა ძალიან სასიამოვნოა. საოპერო ხელოვნებაში აუცილებელია, სოლო მომღერალს ორკესტრთან ერთად შეეძლოს კარგად მუშაობა და, აი, ასეთ კონცერტებს მოაქვს ეს გამოცდილება.

**თამაზ ცერიაშვილი, პროფესორი:**

- ბოლომდე არასოდეს ვარ კმაყოფილი. რაღაც შედეგს კი ვდებთ, მაგრამ ეს ჩემთვის საკმარისი არაა. არის რაღაც ნიუანსები, რაც შეიძლებოდა სხვაგვარად წარმოჩენილიყო. ცუდია, რომ ზოგი მომღერალი მაინცდამაინც ახლა გახდა ავად. მაგალითად, ირაკლი ჯინჭარაძე ავად იყო, მაგრამ კიდევ კარგი, მაინც რაღაცნაირად „გამოძვრა“. ორკესტრთან ერთად ასეთი კონცერტის ჩატარების შესაძლებლობა (და ეს დიდი ბედნიერებაა) წელიწადში ერთხელ გვეძლევა. ყოველთვის გვყავს რამდენიმე კარგი მომღერალი. წელსაც ასე იყო. ბევრმა წარმოაჩინა საკუთარი შესაძლებლობები. საინტერესო საყურებელი და მოსასმენია ანსამბლები. ახლა საოპერო ნაწყვეტის ხუთი ნომერი იყო, ადრე კი მთელ მოქმედებასაც ვამღერებდი.

**თემურ შალვაშვილი, მევიოლინე, პროფესორი:**

- დიდი ხანია, ჩვენთან ასეთი კონცერტი არ ჩატარებულა. უნივერსიტეტმა სცენაზე შესანიშნავი ბავშვები გამოიყვანა. ძალიან კარგად შეასრულეს გამოჩენილი კომპოზიტორების ნაწარმოებები. შესანიშნავად იმუშავეს თამაზ ცერიაშვილმა და მამუკა ალაფიშვილმა. დღეს გამოჩნდა კიდეც ამ შრომის შედეგი. ვულოცავ მათ, მომღერლებს, გუნდსა და მის ხელმძღვანელ ლელა დოლიძეს.

**მამუკა ალაფიშვილი, დირიჟორი:**

- დიდი ხანია, ამ საღამოსთვის ვემზადებოდით. სტუდენტები, ფაქტობრივად, მთელი წელი სწავლობენ და მუშაობენ. ვფიქრობ, ეს დღე მათთვის ძალიან წარმატებული იყო. ახალგაზრდებმა რთული პროგრამა შეასრულეს, ძალიან კარგი ნაკადია, კარგი ხმებია, ვულოცავ მათ ამ წარმატებულ დღეს, ზოგისთვის - სადებიუტოს.

